



ზაფხუმი უასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თფით 2 მან., თითო ნამური—15 კაზ. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარანის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაჯარსი: სუბარი სხვა-და-სხვა სკანებზე, მისუბრისა.— სხვა-და-სხვა ამბები.—კარესხანდენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—ქუთ. წიგნ. გამომც. ამხ. წლიური კრება, Parole-სი.—ფიქრები, ლექსი ი. ევდოშვილისა.—ცისის კვლევა შუა, მითხ. სკიტაღეცისა.—ძველი ცოდვა სახლ რედაქციაში, მანუხარისა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტისი.—ადამიანის უზინარი მტრები, ი. გ.—ლისა.—კანცხადებანი.—

საუბარი სხვა-და-სხვა სკანებზე.

VII.

წრევანდელ არჩევნების დასასრული ქუთაისში.

ივლისის 1—2 რიცხვებში არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის გამგეობა და მით დასრულდა საარჩევანო ციებ-ცხელეობა, რომელიც აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც ქუთათურ ესრეთ წოდებულ „საზოგადოებას“ იქცევდა. ეს საარჩევანო ხანა დაიწყო, როგორც მოგეხსენებათ თავად-აზნაურობის რწმუნებულთა კენჭის ყრით და დამთავრდა ქალაქის საბჭოს და გამგეობის წევრთა ამორჩევით. ჩვენთვის საჭირო არ არის ამ არჩევნების წვრილმანი მხარეების ჩამოთვლა: მკითხველი ყველა ამას ალბათ გებულობდა თავის დროზე გაზეთების საშუალებით. და ასეც რომ არ იყოს, დღეს ამავების ცოდნა არავისთვის საჭირო არ არის. და ნამდვილი რომ ვთქვათ, საზოგადოთ ყველა ჩვენებური არჩევნები უფრო დაცინვა არჩევნების, ვინაიდან ისინი ან შინაარს მოკლებული არიან და ცხოვრებასთან არაფერი საერთო არა აქვთ და ან უმეტეს შემთხვევაში გარეგანი ძალმომრეობის გავლენის ქვეშ ხდებიან. ამიტომ ჩვენებურ არჩევნების შესახებ საუბარი ყოველთვის სახიფათო საგანს შეადგენს ხოლმე, როგორც მწერლისთვის, ისე მკითხველებისთვისაც. აქედან აღვიღო ასახსნელია ის გარემოება, რომ ჩვენ ამ საგნის შესახებ უფრო ღუმილს ვარჩევთ ხოლმე, და თუ ამ წერილით ვღალატობთ ჩვენ ტაქტიკას, ამის ერთათ-ერთი მიზეზი წრევანდელ ქუთათურ არჩევნების სრულიად არაჩვეულებრივ ხასიათში უნდა ვეძიოთ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქურნალ-გაზეთობის ერთი ნაწილი („ივერია“-„მოამბე“-„ცნობის ფურცელი“) მთელ ქუთაისის თავის მცხოვრებლებით ყოფდა ორ ნაწილათ: ერთს ეკუთვნოდა კალისტრატე (ჩიკვაიძე) თავისი მონა-მორჩილებით და კლევრეტებით და მეორეს—ეგრეთ წოდებული სულმო-სავი წმიდა ინტელიგენცია, რომელიც მუდამ საზოგადო ინტერესებისთვის ზრუნავს და თავისი სინილისიერი ყოფაქცევით და მაგალითით ქვეყანას იცავს გახრწნისა და გათახსირებისაგან. პირველი შეხედვით ამაზე უფრო ცხადი და ქეშპარიტი

თითქო არა იყო რა, მეტადრე ჩვენებურ გულუბრყვილო მკითხველებისთვის. და მართლაც საზოგადოება ერთი მხრით ხედავდა მოურიდებელ, თითქმის აშკარა დარღვევას ყოველგვარ ზნეობრივ წესებისას, თვალახილულ ვაჭრობას სინილისით და პატიოხნებით და მეორე მხრით—გულზე ხელდაკრეფილ და თითქო სალოცავთ მომზადებულ პირთ, რომლებიც ნამდვილი ცხოვრება და მოქმედება დაფარული იყო და მხოლოთ იმათ ბაგეთაგან მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე ღალადი გაისმოდა. „საზოგადოება“, ე. ი. ხალხის ის ნაწილი, რომელიც საქმეს არ უყურებს, არამედ სიტყვას, დიდ ხანს არ უჯერიდა ამ მეორე მხარეს, მაგრამ ძალა და განმავლობა მაინც პირველის ხელში იყო. „ოპოზიცია“, რა სახელწოდებითაც მონათლულ იქნა ქუთაისის საზოგადოების ეს ნაწილი, დიდ ხანს ებრძოდა გაბატონებულ მოწინააღმდეგე ჯგუფს და ცდილობდა მის დამხობას, მაგრამ მისმა ბრძოლამ, სავსე ყოველგვარ დაბალი ხარისხის მოქმედებით, სრულიად უნაყოფოთ ჩაიარა. ბოლოს, როცა მთავრობამ გადააყენა მოწინააღმდეგე ჯგუფის პირები სხვა-და-სხვა თანამდებობიდან, „ოპოზიციამ“, თავისი თავის შესარცხვენათ ეს გარემოება თავის გამარჯვებათ მიიჩნია და ამასათ წამოყო თავი, და იმას სრულებით არ დაუევირდა, რომ ასეთი გამარჯვება სრულ მის დამარცხებას და კოტრობას უფრო მოასწავებდა, ვინაიდან ამოდენა ხნის განმავლობაში მან ვერ გამოიჩინა იმდენი ზნეობრივი ძალა და სიმტკიცე, რომ საზოგადოების თანაგრძნობა დაემსახურებია და აშკარათ გაბატონებული ბიწიერება ტახტიდან ჩამოეგდო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, სრულიად მოულოდნელათ, ბურთი და მოედანი „ოპოზიციას“ დარჩა; და აი ამიერიდან იწყება მისი მოღვაწეობა, ე. ი. დაფარულ ფიქრთა გამოაშკარავება. ამ მოღვაწეობას არ აქვს გრძელი ისტორია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეს მოღვაწეობა მეტათ საინტერესოა. ქუთათური „ოპოზიციის“ საზოგადოებრივ ისპარეზზე წამოსკუპება არის ერთ და იმავე დროს ერთი მხრით მისი სრული არარაობის გამოაშკარავება და მეორე მხრით მისი ზნეობრივი გახრწნის დაჩქარება. ეს დღეს თითქმის ყველა თვალახილულისათვის ცხადზე უცხადესია, და უფროთ ამაში ვეძებთ ჩვენც წრევანდელ ქუთათურ

არჩევნების საყურადღებო მხარეს. ცხე შიგნიდან გატყდება, და ქუთათურ «ოპოზიციასაც» სწორეთ ასე მოუვიდა: იგი დამარცხდა შიგნიდან, ე. ი. თავისივე წევრების მოქმედებით. მაგრამ რას ვამბობთ? წრევანდელ არჩევნებში, როგორც სათავად-აზნაურო, ისე საქალაქოში, ოპოზიციამ შესამჩნევათ გაიმარჯვა, და ჩვენ კი ამას დამარცხებას ვუწოდებთ? რას ნიშნავს ეს? განა მართალი არ არის, რომ წელს ოპოზიციამ, როგორც ბანკში, ისე ქალაქის გამგეობაში ყოველგან თავის კანდიდატები გაიყვანა? განა მაგამდე ვაზ. „ივერიაში“ საქვეყნოთ არ გაიძახოდა, რომ „აბულაძის ამორჩევა ქუთათისის ხელმარცხიანი „ოპოზიციისათვის“ გენერალურ, საზოგადო მნიშვნელობის გამარჯვებით უნდა ჩაითვალოსო“ („ივერია“ № 117)? თუმც ეს ასეა, მაგრამ აბა ერთი საქმეს ცოტა უფრო ღრმად ჩაუყვირდით და მაშინ სულ სხვა გამოჩნდება. და მართლაც, ვინ არის ქუთათისის ოპოზიციის წრევანდელი ბელადი? სწორე მოგახსენოთ მე ეს სათქმელათა ცმრცხვენი. ვინ ამბობს, რომ ბ. ვ. აბულაძე სხვაზე ნაკლები „ჩინოვნიკი“ იყო? ვინ ამბობს, რომ მასაც, როგორც სხვებს, თავი არ გამოჩინოს „ენერგიული გამოძიებით“, მაგრამ, საუბედუროთ, ეს კიდევ არ კმარა საზოგადო მოღვაწის როლის საკისრებლათ, და ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ბ. აბულაძე თავისი კანდიდატურის წამოყენების დროს უფრო იმ ორი ათასზე ფიქრობდა, რომელიც მის პენსიას უნდა მომატებოდა. მხოლოთ მაგამდე შეუძლიათ ასეთ პირების საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ლაპარაკი და იმიტომაც ისინი მაგამძენი არიან.

საინტერესოა ის არის, რომ მაგამძის ყალბ მსჯელობას თვით „ცნობის ფურცელმაც“ კი აშკარა წინააღმდეგობა გაუწია, იმ „ცნობის ფ-მა“, რომელიც ქუთათური ოპოზიციის ძლიერ ახლოებელი ნათესავია. ვინ არის აბულაძე? ვისი კანდიდატი იყო? ჩვენ ამ ვაჭბატონს არც საზოგადო მოღვაწეთ ვიცნობთ და არც მისი კანდიდატურა წამოგვიყენებიაო. აი ასე ამბობდა „ცნობის ფურცელი“. და სხვა ნაირათ ლაპარაკი მას არც კი შეეძლო, ვინაიდან ვ. აბულაძის საზოგადო მოღვაწეთ გამოყვანა მარტო ბ. მაგამძის შეეძლო და გარდა ამისა ისიც აშკარა იყო, რომ როგორც გამოტყერა, ამ ვაჭბატონის ბანკის გამგეობაში ამორჩევა იმდენათ მიეწერება „ოპოზიციას“, რამდენათაც მის მოწინააღმდეგე ჯგუფს. მაგრამ „ცნ. ფურცლის“ ასეთი გამოძეღვენება მხოლოთ სკანდალის დასაწყისი იყო. საქმე ის არის, რომ აბულაძის კანდიდატურის წამოყენებით ოპოზიციამ ჯერ აღიარა თავისი თავის კოტრობა და შემდეგ დაგვიმტკიცა, რომ „კალისტრატისმთან“ მას ბევრი საერთო თვისება აქვს. ამას შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ „ოპოზიციის“ დანიშნულება რაიმე აზრის, მიმართულების დაცვაში და გატარებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მარტო-მარტო პირად ინტერესების განხორციელებაში, ე. ი. იმაშივე, რისთვისაც იგი ასე დევნიდა და აძაგებდა მოწინააღმდეგე პირებს. რომ ქუთათურმა „ოპოზიციამ“ დიდი ერთობა გამოიჩინა კალისტრატისმთან, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ეცადა ჯაიანის გათეთრება, იმ ჯაიანის, რომლის წარსული „მოღვაწეობა“ მისთვის კარგათ იყო ცნობილი, და იმავე დროს ხელი შეუწყო ერისთვის გაშვებას, რომელიც ჯაიანთან შედარებით ბანკში ბევრათ უფრო სასარგებლო იქნებოდა. და აი ასეთი გამარჯვება ჩვენმა „ოპოზიციამ“ მართლთა გამარჯვებით ჩათვალა... ახლა თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა უნდა იყოს ეს „ოპოზიცია“, თუ რამდენათ ზრუნავს იგი საზოგადო ინტერესებისთვის, რომლებიც მას მულამ ენაზე აკერია, მაგრამ რომლებიც გულამდის არასოდეს არ წედებინ.

ამნაირათ, ბანკში დაწყებული სკანდალი ქალაქის გამგეობის არჩევნების დროს უნდა დასრულებულიყო. უნდა გამო-

ვტყდეთ, რომ ბანკის ჯერ კიდევ გამგეობის არჩევნების დროსვე სათნოებთან და სულმოსავ „ოპოზიციის“ თავი იჩინა განხეთქილებამ. საქმე ის არის, რომ „ოპოზიციის“ ამ ქუთათის-კენელ ხანებში მოყვა ახალგაზღობის ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ მას ეკუთვნის, მაგრამ რომელსაც ჯერ არ შეუტოპავს იმ წუძმეში და ტალახში, რომელშიაც „ოპოზიციის“ უმრავლესობა იმყოფება. ეს ელემენტი ჯერ ზნეობრივათ იმდენათ ფაქიზია, რომ მას არც კი სჯერა, უკანასკნელ ხანამდის მაინც ასე იყო, „ოპოზიციის“ წევრთა ზნეობრივი გათახსირება და ვახრწნა. ამიტომ შეუძლებელი იყო, რომ თვით „ოპოზიციის“ არ ეჩინა თავი განხეთქილებას. ეს ასეც მოხდა. ბანკის არჩევნებმა ეს ელემენტი ექვში შეიყვანა, დააფიქრა: აქ ყოველივე თავის რიგზე არ უნდა იყოსო, — გაიფლო ეს ზოგიერთებმა გულში, და ისინი ფიქრიდან არ გამორკვეულიყვენ, რომ ამ დროს მოუსწრო ქალაქის გამგეობის არჩევნებმა. განხეთქილება „ოპოზიციის“ უცბათ გაიზარდა, და თუ ჯერ კიდევ ვერ დაბოლოვებულა სრული ჩამოშორებით, ეს მხოლოთ ამ ახალი ელემენტის სისუსტით აიხსნება. რა იყო, რა მოხდა ასეთი ქუთათისის ქალაქის გამგეობის არჩევნების დროსო? — შეიძლება იკითხონ ზოგიერთებმა. ბევრი არაფერი: „ოპოზიციამ“ წამოაყენა ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე თანამდებობაზე თავის წრიდან ორი კანდიდატი, არც მეტი არც ნაკლები! ამან დაბადა ბაბილონის ენათა არევა. ძმა წავიდა ძმის წინააღმდეგ, მამა შვილის წინააღმდეგ და შვილი კიდევ — მამის. „ოპოზიციის“ კოტრობა ამაზე შორს ვეღარ წავა; აქ არის მისი არსებობის უკანასკნელი საზღვარი. მაგრამ უნდა გატეხილი ვთქვათ იგი დიდ ხანს ფარავდა თავის ნამდვილ ფიზიონომიას, დიდ ხანს ახვევდა ბურუსში თავის დაბალ განზრახვათ. ამიერიდან ამას მიეცა დასასრული. ჩვენ გვინტერესებს მხოლოთ იმ პატარა ჯგუფის ბედი, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი „ოპოზიციის“ და რომელმაც რამდენიმეთ მოინდომა მას განშორებოდა და თითქმის კიდევაც დაგომისი უშვერი მოქმედება. რას იზამს იგი მომავალში? სრულიად განშორდება იგი დღევანდელ „ოპოზიციას“, თუ მხოლოთ დროებით ჩამოეცლება მას, რომ შემდეგში ცხოვრების გამოცდილებით აღჭურვილი, ხელახლა შეუერთდეს მას? ეს ორი სხვა-და-სხვა გზაა; სხვა-და-სხვა მიზნისაკენ მამავალი. ან შეიძლება, რამე საშუალო გზა გამოინახებოდეს? არა გვგონია. მაგრამ ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აირჩევს იგი თავის მიზნათ: პირად ინტერესების სამსახურს, თუ ნამდვილ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მაშინ ყოველივე დღესავით ნათელი იქნება.

მ. საუბრე.

სხვა-და-სხვა ამბები.

წელს თბილისის ყველა საქალაქო პირვე-დაწყებითი სასწავლებლებში სწავლა დაუშთავრებიათ სულ 244 ბავშვს, 152 ვაჟია და 92 ქალი.

ტფილისის ქალაქის გამგეობას 2 ივლისს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველათ სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა კომისიის თავმჯდომარის, ბ-ნ ხუდალოვის განცხადება. ბ-ნი ხუდალოვი სთხოვს გამგეობას იმის მოწმობას, რომ კომისიის წარმოდგენათა და კითხვათა გასამართავათ ქალაქისაგან აქვს დათმობილი ავჯალის ქუჩაზე ის სახლი, რომელიც შემდეგ წარმოდგენებისათვის იქნა მოწყობილი. გამგეობამ განიხილა ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ქალაქის კომისიისათვის არავითარი ნებართვა არ მიუცია. ამის გამო გამგეობამ გადაწყვიტა, მოსთხოვოს კომისიის ცნო-

ბები იმის შესახებ, ვინ მისკა ნება სადგომათ სარგებლობისა რა პირობებით დაეთმო სადგომი, რამდენის ხნით და ახლარა პირობითა სურს ქალაქმა ეს სახლი დაუთმოს.

თფილისის ქართული თეატრის დრამატიული გამგეობა უკვე შედგომია მომავალი სეზონისთვის არტისტთა დასის შედგენას. გამგეობას განუზრახავს შეადგინოს დასი აგრეთვე ქუთაისის თეატრისათვისაც. მომავალ სეზონშიაც კვირა-უქმედებს წარმოდგენები გაიმართება დაკლებულ ფასათ.

ქ. ბათუმის შუამდგომლობა ნავთსადგურის გადასახადის დაწესების შესახებ მთავრობას არ შეუწყნარებია. ხოლო რადგანაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახლავე დაარსდეს მუშახალხისათვის საავადმყოფო ხაზინას ორის წლით ამ საქმისთვის გადაუღვიათ 35,000 მ.

კავკასიის საოჯახო მრეწველობის კომიტეტმა მიწათმოქმედების სამინისტროსაგან მიიღო 4,009 მან. სხვა და სხვა საჭიროებისათვის და აგრეთვე მუზეუმის დასაარსებლათ.

ნ. ი. თამაშშევს ნება დაერთო გამოსცეს ყოველდღიური ფურცელი სამუშაოს შოვნის მსურველთათვის. ურცელში მოთავსებულ იქნება მთავრობის გეგმები და განცხადებანი.

გაზ. „ბაკინსკია იზვესტია“ გამოსვლას დაიწყებს პირველ აგვისტოდან,

გაზ. „ნოვ. ობოზ“-ში დაბეჭდილია ბაქოს გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება ქალაქ კუბის, შემახის, ლენქორანის და დაბა სალიანის და ლენქორანის მცხოვრებთათვის. მუხ. 1 ხალხის ყრილობა ქუჩებზე ბაღებში, მოედნებზე, ქარვასლებში და სხვა საკრებულო ადგილებში საზოგადო წესრიგის დარღვევის სათათბიროთ აღკრძალულია. აღკრძალულია იმავე ადგილებში ცნობის მოყვარე პირების თავმოყრა. მუხ. 2. ხალხი პოლიციის პირველსავე მოთხოვნაზე უნდა დაიშალოს. მუხ. 3. ეინც არ დაემორჩილება, ისინი გასამართლებულ იქნებიან 29,30 და 39 სასჯელთა დებულების მუხლის ძალით. მუხ. 4. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევა დღიდან განცხადებისა უწყებულ ადგილებში“.

პირველ ამ თვიდან ბაქოში ნავთის ფასმა 7—8 კაპეკამდე აიწია. მუშის ღირებულება არა უმეტეს 70 კაპ. უსაქმოთ ბევრი რჩება და ბევრმაც მიმართა პოლიციას ვაგზავნონ სახლებში უფასოთ .

როგორც ისმის, წელს საქართველოს თითქმის ყოველ ადგილებში კაი მოსავალია სულადისა.

1 ივლისის მოხდა ქუთ. ქალ გამგეობის არჩევნები: ქალაქის თავათ არჩეულ იქნა ისევ დ. ა. ლორთქიფანიძე. (მოპარდა პირე არ ყოლია), მიიღო 41 თ., 3 შავი; გამგეობის მეორე წევრის ადგილზე დასახელდეს სამი პირი: დ. მდივანი (გამგეობის დღევანდელი მდივანი), ი. ბაქრაძე (იურისტი) და ნ. ერისთავი (ყოფილი ბანკის დირექტორი) ნ. ერისთავის კანდიდატობა უარყვეს, რადგანაც მის მიერ რწმუნებულის სახელზე გამოგზავნილ კერძო ბარათში ისეთ პირობებს თხოულობდა ხმოსნებისაგან, რომელიც თავმჯდომარემ, ქალაქის თავმა არ შეიწყნარა. მაგ. ის იწერებოდა, მხოლოდ მაშინ

დავიდგამ ყუთს თუ იმედი იქნება ხმოსნების მხრით გახელო-სო. ყუთები დაუდგეს დ. მდივანს და ი. ბაქრაძეს. პირველმა მიიღო 28 თ. 16 შ., მეორემ 22 თ. 21 შ. მესამე კრება არჩეულია მდივანი. ქალაქის მდივნობაზე დასახელებულ იქნენ ვ. კანდელაკი (ფოთის ქალ. მდივანი) და ი. კახუხოვი. პირველი 20 ხმით, მეორე 8 ხმ. კახუხოვმა ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა. კენჭი მარტო კანდელაკს უყარეს. მიიღო 33 თ- და 11 შავი. გამგეობის მოსამსახურე პირებს ჯამაგირებიც მიუმატეს. თავს 600 მ. იღებდა 3000 მ. წევრები სამას-სამას მანეთი, იღებდნენ 1200 მან. მდივანი კი ისევ ძველ ჯამაგირზე დასტოვეს.

გორქეს ონდენცია.

მ. თელავი. კვირას, 23 თიბათვეს სომხების თეატრში გაიმართა ბ. ს. გომადის მეთაურობით ქართული სახალხო წარმოდგენა. წარმოდგინეს: „რც გინახავს, ვუღარ ნახავ“, კომედია სამ მოქმედებათ, თხზ. ავქ. ცაგარდისა. მონაწილეობას აღებდა „ახალი“ სცენის მოყვარეთა დასი ბბ: ნ. მარკაშაშვილი, ძმანი კაკაბაძენი, ს. გომადი, კ. სუხიაშვილი, ი. გამურელიძე, ნიკოლოზი და აზიკურავი. ქალთაგან: ქ. სირბილასისა, ჩითავესა და უარავესა. წარმოდგენამ საერთოთ კარგათ ჩაიარა. შეუდარებლები იყვნენ— ვ. კაკაბაძე ფიხნუღას რეჟიში და ს. გომადი გიჟუს რეჟიში. კარგნი იყვნენ: ავქტიკა და ბ. ს. კაკაბაძე—(დავით ჯამბახაშვილის მოყვარე); კ. სუხიაშვილიმც ძალიან ცოცხლათ ჩატარა თავის რეჟი, დახარჩუნებს ხატარა რეჟიები ქანდათ. ბ. ნ. მარკაშაშვილს, რეგორც შირველათ გამოსულს სცენაზედ, გაუბედაობა და მორცხობა ეტეობდა, მარა, თუ არ მოერიდებოდა ხშირათ მიიღებოდა მონაწილეობას, ერთი საუკეთესო სცენის მოყვარე მოგვემატება. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დიფერტისმენტი, წაიკითხეს სცენები და ლექსები. დასწრე საზოგადოების მომეტებულს ნაწილს თუმც ბაზრის ხალხი შეადგენდა, მარა სასურველი იყო მთლათ ამთგან ავსილიყო დარბაზი. მართალია, ჯერ არა აქვთ ეგვლას გადებული გემო ამ მათთვის გამართულ იათ-ფასიან გასართობისა, მარა დრო და ჩაცხება უნდა, რომ კვირა-უქმე დღეებში ქეიფსა და სიმთვრალეს—ასეთ ადგილს წასვლას ამჯობინონ. ეგვლას ეს კარგი, მარა ჩვენ-ქართველებს უფველთავის და ეგვლათეში ერთი სენი თან გვდევს. ესაა რადც გამოურგველი ჯიბრან-მეტოქეობა, შური, „შირველობის“ ძლიერი სურვილი და სხვ., რითაც საზოგადო საქმე უფველთავის ზარალშია და თვითონ ასეთი შირნიც არა სსიამოვნო მდგომარეობაში. მაგალითათ, 23-ს თიბათვეს კლეების დარბაზში გაიმართა საუმსწილო წარმოდგენა ბ. აჯიმაშვილის თათხნობით. (ეს უკანასკნელია თურმე „ძველი“ სცენის მოყვარეთა დასის წარმომადგენელი). მე აქ იმის გამოკვლევას არ შეუდგები, რომელმას დასმა რომელს უჯობობ და ერთ და იმავე სადამოს ორი წარმოდგენა რათ გაიმართა, (ასეთ ხატარა ქალაქში და ისიც უხალისო ხალხში), მხოლოდ კი ადვინიშნავ, რომ ასეთი მოქმედება ვერას სიმშატიური და საზოგადო საქმესაც ხელს შეუშლის.

უმიადო.

მათხოჯი. (ქუთ. მარა) არა ერთხელ და ორჯერ გვსმენია გაზეთების საშუალებით, რას მეტადინებენ მათხოჯელები, რა სწავლას განათლება და საზოგადო დაწესებულებანი აქვთ და სხვა... ხშირათ წერდენ მათხოჯზე, მაგრამ არც ერთ კორესპონდენტთაგანს არ გამოუქვევნიება გაზეთის საშუალებით, რეგორც თვალთ უუურებს ამ საზოგადო დაწესებულებას ხალხი, ან რამდენათ მართალია ის ამ შეხედულებაში. სწავლას-განათლება თუმცა სწუერთათ მათხოჯელებს, მაგრამ შკოდის დაარსება, ან მათი გაუმჯობესობა ჭირივით ეზარებათ, რადგან თხოულობს მატერიალურ შემწეობას. მდგველმა მამა ნ. ბარბაქაძემ გამოიწეა შარშან სამრეკლო შკოდისათვის შე-

ნობა, ამისთვის ფული ზოგი საზოგადოებას გამოართვა, ზოგი მთავრობას და უფრო მეტი კი თავის ჯიბიდან დაუარა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად მთავრებული არ არის. ცოტათი კიდევ რა დაეხმარებოდეს საზოგადოება, მამა ნ. ბარბაძე თავის შრომას არ დააკლებს და ამ ცოტა ხანში მოათავებს შრომის შენობას. მაგრამ საზოგადოება ამას არ აქცევს ყურადღებას. ორკლასიან სასწავლებლებთან წელს უნდა მთავრობას დაეხმარებინა საშუალო განყოფილება. მასწავლებლის კამათი მთავრობისაკენ იქნებოდა, მხოლოდ საზოგადოებას უნდა მიეცა მიწა, მაგრამ საზოგადოებამ ამას უარი განაცხადა. გადვიდეთ ახლა საზოგადოებრივი ღუჭის წყალი. ამ ორი-სამი წლის წინეთ ბ. ლ. ან. ჩიმაკაძის ინიციატივით დაარსეს საზოგადოებრივი ღუჭის წყლის მსახურება თუ ეტყობა, თორემ ჯერ უკან მანც არ დაუხედავია. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი ძირითადი თანხისა გაჩერებულია შენობებში, ღუჭის მანც იძლევა მოგებას არ ნაკლებ 24% ხან კი 48%, დისც ადის მოგება. მართალია, სხვა წლებთან შედარებით ღუჭის მოგება და საზოგადოება ვერ დარჩა გამგებს მადლიერი, მარა გამგე აქ არაფერ შუაშია, ამის მიზეზია ზარკის სიათუ და ჭიათურის კრიზისი.

ზარკი რომ არ ეზიდათ ხანში და არ დაეღუპათ ჩანებთან მუქათა, ბ. ლ. ჩიმაკაძე ღუჭის ფულით ამ ორის წლის წინათ აკო ფარდული, რომელიც ნაჭირავეები აქვს ქუთ. გუბერ. შირველ მუხრანში მთავრობას. ამ საქმეს ბ. ჩიმაკაძე განაგებს. წელს ზარკს უიღუფებდნენ ხანის ბაზრის მაზანდასუ. რადგან შირველ ხანებში ზარკის ფასი არ იყო აწეული, ამიტომ ტოვებდნენ ზარკს და ერთი კვირის შემდეგ, რაც მაზანდა იქნებოდა, იმ მაზანდის ანგარიშით მიქონდათ ფული. მაგრამ აქც უმადური შეიქმნა საზოგადოება: ერთი იძახის მე მაზანდასუ დამაკლესო. მეორე სხვას და მე-სამე კიდევ სხვას... აი საიდან გამოყავთ შირველებს თავისი დასკვნა: მათხროვის ფარდული დიდიანით მოდიოდა ხანის ბაზრის მაზანდა (გზავნიდა მუხრანში მთავრობის მწვერილობას). რა საკვირველია დიდიანით მოსული მოწერილობა წინა დღის მაზანდას ატეობინებდა შეიდეგლთ; სხვა ხანათ არც კი მოხერხდებოდა. აქ კი გამოიდეგლნი გაიგებდნენ თუ არა, ხანში აბაზი ან ექვსი შური მოეშობინა ფუთზე ზარკსა, მაშინვე წვევლით და კრულით იურიდენ ჯავრს შეიდეგლებზე. ამ ხმებს შეუცდენია მგანი ბ. მაღაქაშვილი და „ნობის ფურცლის“ № 1845 მოუთავსებია კორესპონდენცია, რომელიდანც ჩანს, რომ თვითონაც თანახმაა ხალხის ხმის...

გაიზის შეილიშვილი

ბოგანოვარის საზოგადოება. (ქუთაისი. მაზრა). ტობანიე რის საზოგადოება მდებარეობს დ. სამტრედიიდან ექვსი ვერსის მანძილზე, მდ. რიონის მარცხენა მხარეზე და შეიცავს 976 კომლ მცხოვრებლებს განუწყვეტლად წოდებისა. მდებარეობა ამ საზოგადოების წარმადგენს ორგანო მთავრობებს კარგის ქვათა და წელითა ზამთარ-ზაფხულად, აგრეთვე—გაგა-მინდვრებს ძლიერ ნაყოფიერ და მისთან მოსავლიან ზედადით. თუმცა ჩვენი საზოგადოება მსახურობით არ ჩამორჩება, შირ იქით, წინაწი დგას შედარებით სხვა მხარებელ საზოგადოებებზე, ორგანო მაკალითათ, კულაშის, ჯიხაშის და სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ, ტობანიელები, მატერიალურად დატანი და დაქვეითებულნი ვართ უკანასკნელეთან შედარებით. ამის მიზეზს ჩვენ ვხედავთ უზირველესათ უგზო-უკვლობაში, რის გამოც ჩვენი საზოგადოება დიდი ხნიდანვე თითქმის მოწყვეტილი უფიქრობა მსახურებელ დაბეზზე და ქალაქებზე. რამდენათაც ეს საზოგადოება დაეხმარებულა ბუნებრივად კარგი მოსავლით უველა იმ მცენარეებისა, რომლების მოვლა-მოშენებას მისდევს ჩვენი ხალხი, იმდენათვე ის მოკლებულია რიგან ბაზრების სიხლოვეს, სადაც წარმოებულს ძალუძს თვისი ხაფიქარის გასაღება რიგან ფასით და მით ცხოვრების ათას კვარ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აი ეს არის მიზეზი ჩვენში ჩანების გამწვანებისა, რომლებიც ხელთ იკრებენ ჩვენს სიმდიდრეს მესამედ-მეოთხედ ფასით, თვისს ჯიბეს ისტელებენ და ჩვენ კი ისევ შირ მშრალ გუბერებენ. ეს ასეა უფიქრობის, რაც კი რომელიმე წარმოებელი ჩვენი მიუხედავებისა გამოდის გასასულიათ. ავიდეთ მაკალითათ დღის ჩვენში მუხრანში მუხრანში, ძლიერ მომგებიანი და ცოტა ხანა დარგი, რომელიც თითქმის უზირველეს წყაროს შეადგენს უფრო დიდ უმრავლესობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ორი კვირა განმავლობას მას შემდეგ, რაც ჩვენში ზარკის ვიდვა-გაყიდვა წარმოებას. ჯერ კიდევ მხოლოდ აქა-იქ მომხრეობდა ზარკები, ამიტომ ურიცხვად სოფლის ჩანებმა იწეეს სოფელ-სოფელ სიარული და, თუ სადმე იშვებდნენ, 12 მანეთით უიღუფებდნენ 1 ფუთ ზარკს, ეს ხომ იშვითათ მოვლენათ უნდა ჩითვალდეს ჩვენთვის, რადგანაც აქ 1 ფ. ზარკის ფასი 7-10 მანეთ ზევით არასოდეს არავის არ უხანავს. ამ სხით 1 ფ. ზარკის ფასი 16 მანეთამდე აიწია.

ერთი წელიწადია, რაც ჩვენში შემოდებულ იქნა ახალი წესი გადასახადების- (მიწის ბაჟი). უველა იმედის თვალთ შეეფრება ამ მოვლენას და მასში ვხედავთ რადაც იმედს. ასეც უნდა უფიქრობო, რადგანაც წინეთ გლეხი, მდიდარი იყო თუ დარიბი, ძლიერი იყო თუ სუსტი ქნებრივით, ქნდა რამე თუ არა, მანც ეთრსა და იმ-ვე უღელს ეწედა, ერთსა და იმავე გადასახადს იხდიდა. და ახლა ხომ უნდა მოვლდეს ბოლო ამ უსამართლობას. ასეც მოხდა, საზოგადოებრივი იმედები აგვისრულდა, მაგრამ უმცირესობა მანც ვერ აცდა განსაცდელს: ამ უმცირესობას შეადგენენ სხვახინო გლეხები. მათი გადასახადი არა თუ დამცირდა, შირ იქით გადიდა კიდევ ორჯერ. ამისთანა მაკალითათ არა ერთხელ შეეხვედრივარ ქართულ ზრესში და ჩვენშიაც ეს ვგონებ შეცდომით უნდა იყოს, მაგრამ დაადგა ამ შეცდომის გასწორებას საშუალება? არა და არა. ხსენებულმა გლეხებმა რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით მთავრობას, ისინი რომ გადასახადს იხდიან, იმდენი ქნების ზატრინი არ არიან, რის დასამტკიცებლათ ადგილების ზომაც წარუდგინეს, მარა ჯერ ზასუხი არ მიუღიათ. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, მიექცეს ყურადღება ამ კარგიმებას.

არა ნაკლებ ჩამორჩენილია ჩვენი საზოგადოება სწავლა-განათლებლითაც სხვა ზემოხსენებულ საზოგადოებებზე. ამოდენა საზოგადოებაში ვერ იხვევით ვერც ერთს წიგნსაცავ-სამეითხველას და ვერც შეკლებს, გარდა ერთ ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლისა, რომელიც დაარსებულია ოცი წლის წინეთ ერთ კლასიანათ და გადაკეთებული ორკლასიანათ 1897 წელს ა. და ი. ქათა მამოვრების მეთაურობით. სკოლის ზედამხედველია ბ. ვლ. ნაცვალაძე. წრეთელის გულით ვუსურვებთ ბ. ვლ. ნაცვალაძეს, რომ ის ურიცხვი ხაკელი, რომელიც დღეს ჩვენ სასწავლებელს აქვს სკოლისათვის თავიდან აქმორებიოს.

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

იხპანია. ისპანიაში შედგა ახალი ზარტის დემოკრატიებისა. ზარტის წინამძღვრებენ გერცოგი ტეტუანი, გენერალი დომინიუკი და ბეიერი რომბლო, რომელიც წინეთ დიდი მომხრე იყო ზარტისმეტის შემოღებისა. ეჭვი არ არის ზარტის მიემხრობა აგრეთვე კლერიალთა წინაღმდეგ ცნობილი მჭერმეტყველი მქადაგებელი მინისტრათ ნამოფი კანალებსა. ზარტის გამოყენადეს თვისი თანაკმობა 7-მა მინისტრათ ნამოფი, 51-მა სენატორათ ნამოფი, 437 ზარტინციალურ საბჭოს წევრმა და 3000 სხვა და სხვა ზირებმა. იმედი აქვთ ზარტის კიდევ ბევრი მომხრე გამოჩნდეს.

იხპანია. 22 ივნისი. (ახ. სტ.) ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ინგლისში შირველათ გამოვიდა საქარხნო კანონი. მას მხოლოდ ცოტა რამ ჭქნდა სხეში, — „დაეცვა ჯანმრთელობა და ზნეობა იმ ემსწავლებლისა, რომელნიც ფაბრიკებში მუშაობდნენ“. მაგრამ ამ პატარა კანონზე აშენდა მთელი სისტემა კანონებისა, რომელმაც შესამჩნევად გააუმჯობესა ხალხის მდგომარეობა. ავსტრალიელ მწერლის, მარკუს კლარკის ერთ რომანში დახატულია სიმო-

ნელი სურათი ტანსაცმის და ნორფოლკის კუნძულის კატორღას. ახლა ამ სურათს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა-და აქვს, რადგან ავსტრალიაში გადასახლება, როგორც სასჯელი, დიდი ხანია აღარ არსებობს; კატორღის უსარმები, საზღვრობილეთა არნივები და სხვა, რაც კი იმ დროს მოგონებდა, მარტინიკის ბრძანებით დასწკეს. კლარკის რომანიდან სჩანს, რა საშინელ წამებას იტანდნენ მარტინიკის (ტანსანიაში) კატორღელები, რომელნიც მხოლოდ იმიტომ იყვნენ გატანულნი, რომ ტრედ-უნინგებში (მუშათა ინტერესების დამცველი საზოგადოება) და გაფიცვაში მიეღოთ მონაწილეობა. დღეს ერთიცა და მეორეც დიდი ხანია ნება დართულია საფრანკო კანონმდებლობისგან. იმ ნიადაგზე, სადაც მარკუს კლარკის კატორღელები იტანჯებოდნენ, იქ შემდეგში აღმოცენდა მთელი მარტინიკა, რომელმაც თავი ისახელა მრავალის მნიშვნელოვან კანონების შექმნით. ამ გვართ მატარა მარტინიკის უსარმისარ ხელ იქცა: 22 ივნისს 1802 წლის კანონი შეიქმნა წყარო გაბედულის სოციალურ ცდის ახალ ზეუპყრობაში, ვიქტორიაში და ახალ სამხრეთ უელსში. მარკუს კლარკის ჯალათებს სიზმრათაც არ მოეხერხებოდათ, რომ სამცოცო წლის შემდეგ სწორეთ იმგვარივე ხალხი, რომელსაც ისინი გარეულ მხედრობით მათრახით იმარხილებდნენ, ავსტრალია-ახლის ბუდის გადაწყვეტილი შეიქმნებოდა; რომ ამდენ ნიჭიერ სენატორებს მისცემდა ქვეყანას, რომ მეტროპოლია მასთან მეგობრობას და კავშირის დაჭრასაც კი ეცდებოდა. ფერერს (კლარკის გმირა, გუბერნატორი ნორფოლკის კუნძულზე) რომ ასეთი სიზმარი ენახა, უკველათ წამოიძახებდა: არას დროს! — სწორეთ იმ სიტუაცს, რომელსაც დიდი სიფრთხილით უნდა ხმარობდნენ მარტინიკის განვითარების შეჩერების მსურველნი.

საფრანგეთი. ახლანან საფრანგეთში შესდგა ახალი აქციონერული საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს ააშენოს სახლები იმისთანა ოჯახებისთვის, რომლებსაც ბევრი ბავშვები უყვს. საზოგადოების მიერ აშენებული სახლების ნახევარი უნდა უკველათ მიქირავდეთ მათ, ვისაც უავთ არა ნაკლები სამი ბავშვისა. ბინა გამოანგარიშებით ელირება 78 მანეთათ წელიწადში. საზოგადოებას რჩება 3% თავნ ფულზე. ეს ახალი საზოგადოება ძლიერ სასარგებლოა ღარიბ ხალხისთვის, რადგან აკმაყოფილებს ერთს მათს უადრეს მოთხოვნილებათგანს. რამდენსამე თავის წინეთ ერთმა მუშამ რეოლგული ესროლა სახლის მატარანს, რადგან მას აგდებდნენ სახლიდან, მიზეზი სახლიდან გაგდებისა კი ის იყო, რომ საწყაღს ერთი შვილი მიემატა.

ერთი უმწვავე საკითხვათგანი საფრანგეთისთვის დღეს იესუიტთა კონგრეგაციების ძირიანათ ამოგდება და მოსაბაზა. მკითხველებმა იციან, რომ საფრანგეთის მთავრობამ მარტინიკის კავშირს იესუიტთა სასწავლებლები, ხოლო მათ მინც მოინდომეს რესპუბლიკის კანონის გვერდის ახვევა და სასწავლებლები განსხევიანეს საერო ბირებს, თვით კი იმავე სასწავლებლებში მასწავლებლებათ ჩადგნენ. მაგრამ რადგან კანონით აღკრძარული იყო საზოგადოათ ყველა ისეთი სასწავლებლები, სადაც ბერები ასწავლიდნენ, ამიტომ ახლანდელმა რესპუბლიკანურმა მთავრობამ მოინდომა მტკიცე აღსრულებაში მოეყვანა კანონი იესუიტთა კონგრეგაციების შესახებ. ამის შესახებ კომისმა წარმოსთქვა სიტუვა, რომელიც შემდეგი სიტუვებით დაბოლდავა: „ჩვენათ, სოქვა მან, კანონის განხორციელება გვინდოდა ზომიერის წესით, მაგრამ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით კი, რომ ის აუცილებლო მოგვეყვანა სისრულეში. ჩვენ არ დავკმაყოფილებით ახლანან მიღებულ ზომებით. 14 ივნისის დეკლარაცია ბერების სკოლების დახურვის შესახებ იყო ბირდაზირი შედეგი იმ დეკლარაციისა, რომელიც თქვენგან იქნა მიღებული და მოწონებული. ამიტომ ვთხოვ რესპუბლიკანურ მარტინიკის კავშირის ერთგული დახმარება, საფრანგეთმა მალატაში გამოკვანან რესპუბლიკანელთა უმრავლესობა, მისთვის, რომ უზრუნველ ვყოთ საერო საზოგადოების გამარჯვება ბერების კონგრეგაციების ურჩობაზე“. მალატამ ხმის უმეტესობით მოიწონა მთავრობის განცხადება და დაადგინა კომისიის სიტუვა გამოცხადდეს საფრანგეთის ყველა მხარეში.

— 22 ივნისს ახ. სტილ. დასრულებულა დეპუტატების კითხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლეს შკოლაში, მარტინიკის ბ. გამბარავს და დე-რობერტის წარმართქვამთ უკანასკნელი სიტუვა და ახგარიში წაუკითხავთ 1901—2 აკადემიური წლის სიტუვარიშიდან ვტუობილბოთ, რომ შკოლის არსებობის ბირველ წელს ყოფილა 260 სტუდენტი და 3500 შემთხვევით დამსწრე. რუსის მეცნიერთაგან შკოლაში იღვწოდნენ ბბ. მ. კოვალევსკი, ე. დე-რობერტი, ი. გამბარავი, ი. შჩუკინი, თ. ვოლკოვი, ე. ანიკოვი და სხვ. უცხოთაგან საღამოობით დეპუტატებს კითხულობდნენ ბბ. ბლენდერი, მ. რეკლიუ, ბრანდესი, მარს ნორდაუ, მანუერიე, სენიობო-სი, ტარდი.

მ. კოვალევსკიმ წაიკითხა წარმოდგომა ამერიკის დემოკრატიისა და უფლების კურსი, დე-რობერტიმ — საზოგადო სოციალგოგია და თეოლოგის ისტორია, ვოლკოვი — ანტროპოლოგია, გამბარავი მრატკიუელათ აცნობდა მისენელებს უფლების საზოგადოთეორიას, ილოლსმა — წაიკითხა რამდენიმე დეპუტატის სოციალურ კანონმდებლობისა და სოციალურ ბოლიტიკის შესახებ გერმანიაში.

ამას გარდა მარტინიკის ბერგვარ დახმარებას უწევდნენ თავიანთ სტუდენტებს.

16 ივნისს გაიმართა კონცერტი რუსული შკოლის შეუძლო მისმენელთა სასარგებლოთ. ბ. დე-რობერტიმ ქბ. იავარსკის თანხმობით მოუზოვა სტუდენტებს რუსულ წარმოდგენებზე თეატრ „ანტონში“ უფასოთ დასწრების ნება. შკოლასთან არსებობს ბიურო-მსმენელებისათვის სამუშაოს მოსახლებათ. შკოლა აგრეთვე აძლევს იავარსკისა და სრულად უფასო სადილებსა და ბინებს არა მარტო თავის მისმენელებს, არამედ ყველა იმათ, ვინც კი უმაღლესი განათლების მოსაღებათ მარტინიკაში მიდის.

ჩინეთი. ინგლისის და გერმანიის დათანხმება ჩინეთის წინადადებაზე შესახებ ტანძინიდან ჯარის გაუვანისა და ამ ქალაქის ჩინეთის მთავრობის ხელში გადაცემისა უნდა ჩაითვალოს უკანასკნელ აქტათ ჩინეთ-ევროპის კონფლიქტისა. ამ გვართ კითხვა უკვე გადაწყვეტილია, რადგანაც ამაზე თანხმობა განაცხადეს რუსეთმა, საფრანგეთმა და ამერიკამ. ეს გარემოება ცოტაოდნათ დაამშვიდებს ჩინელებსაც, რადგანაც ვაჭრობის უსაჭიროეს ცენტრისა ევროპიელ ჯარების ხელში ყოფნით აბრკოლებდა ალებ მიცემობას. ამით საკებლობდნენ ჩინეთის მთავრობის მოწინააღმდეგენი და აღეგებდნენ ხალხს. კუანგინში მომხდარი არეულობაც სწორეთ ამ მიზეზით იყო გამოწვეული. მიუხედავათ იმისა, რომ ჩინეთის მთავრობა ირწმუნება მოისხო ჩინეთში ამბოხებათ, იქ ამ ჯამით დიდი არეულობა და რაც დღე გადის, უფრო და უფრო მწვავედება ბრძოლა მთავრობისა და მთავრობის უკმაყოფილო რეფორმების მომხრეთა შუა. ხალხს ახლა ხელმძღვანელებენ უფრო ბოქსერები კი არა, არამედ შეცნებული ჩინელები, რომელნიც ახლანდელ მთავრობას უფარგისათ სთვლიან რეფორმების განსახორციელებლათ. რეფორმების მომხრეთა აზრით ჩინეთმა თვით ჩაკლო თავისი თავი ამისთანა განსცდელში მით, რომ არ ისურვა დასდგომილა განვითარების გზას, როგორც ეს ქნა ევროპამ.

რეფორმატორების მოძრაობამ დიდი შიში გამოიწვია მთავრობის კონსერვატიულ სფეროებში და მხელებში. მათ უმინათ აგრეთვე ამ მოძრაობამ არ გამოიწვიოს სხვანაირი მოძრაობაც, როგორც მაგალითათ ბოქსერებისა.

მართლაც და ეს შიში არ არის უსაფუძვლო, რადგან მუამბოხე რეფორმატორებს ხელს უწებენ საომარი იარაღის შოვნით ჩინელი კათოლიკეები და მისიონერები. ჩინეთის მთავრობამ იცის ეს, აქვს მრავალი საბუთი ამის დასამტკიცებლათ და ამას განზრახვა აქვს სთხოვოს ევროპის სახელმწიფოებს მიიღონ ზომები მისიონერთა ავოტაციის მოსახლოებათ.

ამსტრია. მარტინიკის უკანასკნელი სხდომები ერთ უხაყ-ფიერეს შრომათ უნდა ჩაითვალოს, დიდი ხნის ღოდინის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი მუშათა საცხოვრებელ სახლების შესახებ,

ეს საგანი აგერ რამდენი ხანი თითქმის ყოველ მორიგ საქმეთა შორის იხილებოდა, რადგან თვით ცხოვრება უთითებდა მთავრობას მაზე, როგორც ერთ უმწვევეს გადასწვევტ კითხვაზე. ჩამოვარდებოდა კითხვა მედიცინის უკეთეს ნიადაგზე დაზარების შესახებ, თუ სანატორიების გამრავლების, ან გადაძვებ ავადმყოფობასთან ბრძოლაზე, უკეთეს ამ კითხვას მოყვებოდა ხელმე მუშათა სახლების საქმეც. ამას წინეთ ერთი გამომჩინილი მედიცინის მოღვაწე „ტუბერკულოზის სანატორიების“ გამრავლების გამო სწერდა, რომ თუმიცა სანატორიებით გატარება კარგია, მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არ არის უბირველესი საშუალება ტუბერკულოზთან ბრძოლისთვის. ტუბერკულოზის გამრავლების უბირველესი მიზეზი „ბაცილები კი არ არიან“, ამბობს ის, არამედ საცხოვრებელი სახლების მოწყობლობა. ჯანმრთელი ორგანიზმი ყოველთვის მოერევა ბაცილას, ხელა დაზიანებული ორგანიზმი კი საუკეთესო ნიადაგია მისთვის. ამისთვის საზოგადოებრივი ბრძოლა ტუბერკულოზის შესახებ უნდა იყოს მიმართული ცხოვრების ბირებების გაუმჯობესებისთვის, რათა უკეთეს ბირებებში ჩაყენებული მუშა გაჯანმრთელდეს. ამის დასამტკიცებლათ მას მოყვას ვენის მუშათა კასის მუშების და ხელახლათა კასის ხელახლების მდგომარეობა. გამოდის, რომ 1900 წელს ვენის მუშათა კასის მუშებ შორის გადაძვებ სენით ავით გამსღარა 5,5%, ხელა ხელახლებ შორის კი 9,7%. სემოხსენებული მკვლევარი ამ გარემობას აწერს იმას, რომ ბირველთ მერეებზე უკეთესი სახლები აქვთ საცხოვრებლათ, ხელახლები უფრო ცუდთ იკვებებიან, ნაკლებ დროს იხვენებენ და ცხოვრობენ სახელახლებში, ან სახელახლების შენობაში.

რუსეთის ცხოვრება.

განკორწინების კანონით აქამდე არსებულ მიზეზთა გარდა ახლის ბრექტით ოჯახურ უფლებათა შესახებ განუზრახავთ ჩათვალენ აგრეთვე სიკვდილის განზრახვა და სასტიკი შიშობა.

— „ტაგანროგ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემადრწინებული ამბავი, რომელიც მოხდა ფრანკთა და რუსთა საზოგადოების მადნებში, ტაგანროგის მახრში:

1-ლ ივნისს მადნებში ცეცხლი გაჩნდა; ამის გამო მუშაობა სში დლით შეწყდა. 4 ივნისს მადნების ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა გაეშვით მუშები მადნების მადარობში. მამინ გამოცდილმა მუშებმა განაცხადეს—ცეცხლის შემდეგ იქ ჩასვლა სშიშია ადამიანისათვის, რადგან სხვა-და-სხვა გაზი გროვდება; მათის სიტუვით, საჭირო იყო რამდენსამე ადგილას განსაკუთრებულ ვენტლიატორების დადგმა და მადარობის ჰუერის გაწმენდა. მადნების ადმინისტრაციამ მუშების განცხადებას უური არ ათხოვა და მოითხოვა მუშაობის დაწყება. მუშებმა უარი განაცხადეს; მამინ კანტორამ უკვლანი დაჯარბმა და განაცხადა, ვინც სვალ მადნებში მუშაობას არ დაიწყებს, დათხოვნილი იქნება. მერე დღეს მუშებმა, მეტი გზა არ იყო, განაცხადეს თანხმობა. მაგრამ 8 მამც მუშას, რომელნიც ბირველათ ჩაიედენ მადარობი, მეტათ ცუდი ამბავი დაატყდათ: რამდენიმე წუთის შემდეგ ორი მათგანი მკვდარი ამოათრეს, დანარჩენებიც—ცოცხალ-მკვდარნი. ექიმმა შეამოწმა, რომ უბედურები ნახშირმადმა მოწამლა. გამოძიება წარმოეკ.

— საურადადებო ბრძანება გაუცია ბეტერბურგის სამხედრო ოლქის და გვარდიის ჯართა უფროსს. ამ ბრძანებაში ნათქვამია: „1) ყოველი ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯარში ახლათ გაწვეულ ჯარის-კაცს ცემენ მასწავლებლნი და მწვრთვებლნი, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მთავრობას უმადლესთ წარსადგენათ; 2) დამნაშავე მასწავლებლნი დაუყოვნებლივ სამართალში უნდა იქმნან მიცემულნი; ასეთ მასწავლებლს, სულ ერთია სასამართლო გამართლებს თუ არა, ადარსოდეს ადარ უნდა მიენდოს სასჯელად ჯარისკაცთა წვრთნა; 3) სასტიკათ უნდა დაისჯოს ორტის უფროსი,

როგორც მასუნი მგებელი მასწავლებლთა ცუდის საქციელისა შეიძლება ორტის უფროსი სამსახურიდან იქმნას დათხოვნილი. — „ზრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ურნახლები ცალკეობის კრებათა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის-საჭიროებისათვის. ამ ურნახლებში განხილულია მოხსენებანი: 1) „შედეგი რუსეთის სასოფლო მეურნეობის წარსულის საუკუნის უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში“; 2) მოხსენება ფედოროვისა— „ზარალი, რომელიც მოყვა ხვნა-თესვის უმთავრეს წესს ჰვავის გარდამეტებულის წარმოებით და დონისძიებანი, რომ თან-და-თან უფრო წესიერ რიგს დაადგეს მეურნეობა ხვნა-თესვის საქმეში“; 3) მოხსენება კულამზინისა— დონის-ძიებანი საკვები ბაღასთა თესვის გასაძლიერებლათ გლეხთა საკომლო მამულებზე“, და 4) მოხსენება გაწერილ ხარჯთა დებარტამენტისა: „ზოგიერთი ფიქრი იმ დონისძიებათა შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განკარგებული შუაგულ რუსეთის გლეხ-კაცობის მიერ მამულის სარგებლობისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საქმე“. ბირველ მოხსენების ავტორი იმ აზრს, დასკვნის, რომ ერთათ-ერთი დონისძიება, რათა მამული სულ არ გამოიფიტოს და არ დაუდონოდეს საქონლის მოშენების გაძლიერება და შენაცვლებით ხვნა-თესვის შემოღება. საჭიროა აცილიბულ იქმნას საკანგებო საკანონ-მდებლო დაბრკოლებანი, რათა სათემთ მიწის-მფლობელობის რიგით. დასლოვებული ბრექტიკული დონის-ძიებანი სასოფლო მეურნეობის ვითარების განკარგულებისა და მისის ტუნხის ამაღლებისათვის ის არის, რომ შემცირდეს თესვა ხორბლეული სა და გაძლიერდეს თესვა საკვებ ბაღასთა და ისეთ თესლეულობისა, რაც მიწაში იკეთებს ძირს. მესამე მოხსენება ამტკიცებს, რომ რადენობა სასუქის ევრობიულ რუსეთში ორჯერ-სამჯერ ნაკლები იმაზე, რაც საჭიროა მამულის წესიერათ გაზატვივებისათვის. გაძლიერება მოსავლიანობისა შეიძლება მხოლოთ მით, რომ თავი დაჯანებოთ სამ-ხაჭრათ დაუფიას მამულისას და შენაცვლებით თითოეული შემუშავებას სამის წლის განმავლობაში და მის მაგიერ შემოვიდოთ საკვებ-ბაღასთა თესვა დასასვენებელ მამულში. სათემო მფლობელობა არ არის დაუძლეველი დაბრკოლება გლეხთა შორის საშორეო სასოფლო-სამეურნეო განკარგულებათა შემოსადებათ. მეოთხე მოხსენებაში ნარჩევია ვცადოთ ისე დამიჯვან გლეხთა მამულებისა, რომ თითოეულს კომლს ექიროს წესიერათ შემოფარგლული ნაჭრები. აგრეთვე ვცადოთ ზოგიერთ სამელიორაციო საქმეთა ნაკვეთები რამდენსამე სხვა-და-სხვა ხასიათსა და ვითარების მახრში. მესუთემი ნათქვამია, რომ უმთავრესი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დაცემისა არის მოურთიკებლობა ერთმანეთში დიდ მემამულეთა და გლეხთა შორის. ამ ნაკლეუვანების ასცილებლათ ის უნდა ვიდონოთ, რომ გლეხებს ნება ქონდეთ ხნან და თესონ სადალოთ მიწათ-მფლობელთა მამულები. ბჭობამ საჭიროთ დაინახა განხილვა შემდეგი უმთავრესი საგნებისა: 1) საჭიროა თუ არა ვეტანებოდეთ რუსეთში ხორბლეულის წარმოების გაძლიერებას და მოსალოდნელი ხომ არ არის ვაჭრობა მისი და მით დაცემა ფასისა? ბჭობამ საჭიროთ დაინახა დონის-ძიებანი მიმართულ იქმნას უმეტესთ ინტენსიურ მეურნეობის შემოსადებათ და საქონლის მოშენების გასაძლიერებლათ; ჩვენი სასოფლო მეურნეობის შემოსავლის გასამატებლათ უნდა ამასთანავე ურადღება მიექცეს ჩვენებურ საქონლის გაყიდვას საზღვარ-გარეთ მით, რომ ეც საქონელი უკეთესის დირსებისა იყოს და თვით გაზიდვა საზღვარ-გარეთ საქონლისა თუ მისის ხორცისა და ერო-უგვლისა უკეთესათ იქმნას მოწობილი. 2) უფრო მით უნდა განკარგდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, რომ თვით-მომქმდება გაძლიერდეს სოფლის მემამულეთა შორის თუ უნდა ვცადოთ, რომ მთავრობამ იმოქმედოს და თვისი გავლენა, ძლიერება გამოიყენოს ამ საქმის წინ წასწევათ? ბჭობამ უფრო მოსახერხებლათ დაინახა ცდილობა თანხმობის გასაძლიერებლათ ხაღხში: ამასთანავე ადვიარა, რომ დიდი შემწეობა შეუძლიან ადმოუნიონს ქვეყანას ამ შემთხვევაში სხვა-და-სხვა სასოფლო-სამეურნეო კავშირთა და ამხანაგობათა მოწყობას, თუმიცა, რასაკვირველია, მთავ-

რობის მხრივ დანისძიებათა მიღებაზედაც ხელი არ უნდა ავიდეთ. 3) დღევანდელი ვითარება მამულის შემუშავებისა და სარკვევების გლახთა მიერ დაბრკოლებას ხომ არას წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის წესიერათ განვითარებისათვის? გლახთა მეურნეობის მოწყობება იმაზე დასაყრდენად, რომ საკომლო მიწები მეტის-მეტად დანაწილებულია და ზოგი მიწა აქ არის და ზოგი იქ, რაცა სშირია სათემო მიწებზედობის დროსაც. ამ საქმის მოწეს-რიგება შეიძლება პრაქტიკულ დანისძიებათა მიღებით და ფაქტიურათ გლახთა მამულების მოწყობით იმ გვარათ, როგორც ეს მოხსენებულაა გაწერილ ხარჯების დეპარტამენტის წერილში. ამ წერილის დაწერილებით განსახილველათ საჭიროთ იქმნა ცნობილი შედეგა ცალკე კომისიის სახელმწიფო სერკეტრის კოკოცევის თავმჯდომარეობით: კომისიის მისაზრებანი წარედგინება განსახილველათ ცალკე ბჭობას. გადაწვდა მიმართონ მისკვიის სამეურნეო-საზოგადოებას, რათა მან შეკრიბოს ცნობანი ბჭობისათვის, სად და რადის იყო, რომ რუსეთში კერძო კაცმა, ან საზოგადო დაწესებულებამ გამოიხინა მხეურსებული და საგულისხმეოთ თანხობა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ამ თუ იმ საქმეში. ხელმწიფე იმპერატორმა კითხვ იხება და განსწავსა ყურნალი განსაკურსებული ბჭობისა 26 ივნისს 1902 წელს. 2 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და მეფე იტალიის მიბრძანდენ კრასნოე სეფში სადამს 6 საათზე; ბანკის უმადლესათ გარ-შემოვლის შემდეგ, 7 საათზე მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდენ სამეფო კარვთან, საცა მოისმინეს „ზორა“, შესრულებული ცერემონით. კონცერტის შემდეგ სადილი მიირთვეს კრასნოე სეფს სასახლეში; სადილის შემდეგ წარმოდგენა იყო კრასნოე სეფს თეატრში მათ უდიდებულესობათა თანდასწრებით.

მუთაისის წიგნების გამოცემა. ამხანაგობის წლიური კრება.

30 ივნისს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ადგილობრივ წიგნების გამოცემელ ამხანაგობის წლიური კრება. დაესწრო ოცამდე წევრი და ამდენივე გარეშე პირი. კრება გაიხსნა ბ. დ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო: 1900—1901 წლების ანგარიშები, მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, განსვენებულ გ. გ. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ გამგეობის მოხსენება, სარედაქციო და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევა, პირობის § 10 შეცვლა და ახალი წევრების მიღება.

წაკითხულ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიშიაც ყურადღება მიიქცია იმ ვალმა, რომელიც—კომისიის აზრით—ძველ გამგეობაზე უნდა ითვლებოდეს. ეს ვალი სამი ჯამისგან შედგება: ა) საკუთარ გამოცემულ დაკარგულ წიგნების 162 მ. 28 კ. ბ) მასალის (ქალაქის), 52 მ. 57 კ., გ) წიგნთსაცავის (სათარგმნი წიგნების) 9 მ. 47 კ. გამგეობის მართველი, ბ. გ. გვეჯისაინი აცხადებს, მართალია, იმ 418 ცალი წიგნის ღირებულება, რომელიც აკლდა ჩვენ მიერ ჩაბარების დროს საწყობს, ითვლება ძველ გამგეობაზე, მაგრამ მე უსამართლოთ მიმაჩნია მართა ძველ გამგეობას გადახდეს ხსენებული ზარალი, რადგანაც ამ ზარალში წილი უდევს პირველ გამგეობასაც, რომელსაც არ ჩაუბარებია მეორე—ძველი გამგეობისთვის ამხანაგობის წიგნები, როგორც წესი და რიგი იყო. ბევრი კი აგენტებთან არის დაკარგული; რაზედაც გამგეობა სრულიათ ვალდებული არ არის პასუხი აგოს. ძველი გამგეობის ადმინისტრატორი, ბ. ი. კილაძე, აცხადებს, რაც აგენტებთან დაკარგა ამაზე—აგენტებმა უნდა აგოს პასუხი, რაც გამგეობამ თავის დაუდევრობით დაკარგა, რაც უნდა ქონდეს წიგნებში ჩაწერილი და არა აქვს, ის კი მან უნდა იკისროს. მე კი ჩემის მხრით ვაცხადებ, რომ თუ კი რამ დამედება ახლავე გადვიხადო. ვალს გადახდა უნდა, მაგრამ

ისეთი ვალის გადახდა, როგორც არის თქვენს ბალანსში მოხსენებული 52 მ. 57 კ. ქალაქის ღირებულობა, მე არ შემიძლია. მე პირველათ მესმის ასეთი ვალი, რადგან რედაქციის მიერ დასაწერეთ, არ გამეგება. აი საქმე რედაქციის გამოცემები ჩემს სტამბაში იბეჭდება, ერთი წინა გამოცემიდან მონარჩენი 22 ოზმა ქალაქი ამხანაგობისა ჩემს საწყობში დარჩა, რადგანაც ახალმა გამგეობამ უადგილობის გამო ვერ წაიღო. შემდეგ ეს ქალაქი მოხმარდა გრ. აბაშიძის ლექსებს, ამხანაგობის გამოცემას, რაც გამგეობის მართველმა უკვე იცის. როგორც ხედავთ ჩემზე არავითარი ქალაქის ფასი არ ითვლება და ვალდებულიც არა ვარ მოგონილი ვალი ვიხადო. რაც შეეხება წიგნთ-საცავიდან დაკარგულ წიგნებს, აღმოჩნდა, რომ მთარგმნელებს ქონებით ვალდებული და არ დაუბრუნებიათ. კრებამ დაადგინა გადახდეს დაკარგული წიგნების ღირებულება იმ პირთ, რომელთა დაუდევრობითაც მოუვიდა ზარალი ამხანაგობას; გადახდილ უნდა იქმნას გამოცემათა ნამდვილი ღირებულება, ე. ი. ის, რაც თვითონ ამხანაგობას უღირს. ამხანაგობას მართებია, რასაკვირველია, არა იურიდიულათ, არამედ ჩვენებურათ, ზნეობრივათ—მამია გურიელის ორასი მანეთი დაპირებული გონორარი, მაგრამ, რადგანაც ხსენებულ ავტორის ლექსთა კრებული ისე ცოტა გაყიდულა, რომ ჯერ დაპირებულ გონორარის მეთედევ კი არ აუღია ამხანაგობას, ამიტომ მამია გურიელის ნათესავთა რწმუნებული, თ. კირილე ლორთქიფანიძე—ხელ ცარიელი დაბრუნდა, მაშინ გადვიხდით, როდესაც შეძლება გვექნებაო. როგორც ანგარიშიდან ჩანს, საანგარიშო წლების განმავლობაში ამხანაგობას გამოუცია სამი წიგნი: „აკიდო“ ი. გოგებაშვილისა, გრ. აბაშიძის ლექსთა კრებული, და ძმათა გრიშების მიერ შეკრებილი ზღაპრები. კრებამ ყურადღება მიიქცია ერთის მხრით გამოცემულ წიგნების სიმცირეს და მეორე—მის ხალხისთვის უფარვისობას და ხელ მიუწვდომლობას. მდ. ს. მჭედლიძე ერთიანათ უნაყოფოთ თვლის გამგეობის მოღვაწეობას და სარედაქციო კომისიის შრომას (რომლის წევრები, როგორც ბ. მართველმა განაცხადა, ცოტა არ იყოს, ზანტათ დადიან კრებებზე). ყოველი შრომა იმდენათ არის დასაფასებელი, რამდენათაც რაიმე ნაყოფი მოაქვს, თქვენი შრომა კი (გამგეობას) ტყუილა წყლის ნაყვია, არც თავს არგინართ, არც ხალხს, რომლის დახმარებაც ამხანაგობას უკისრია. აბა რა საქირთა სოფლათ ზღაპრების გავრცელება, ზღაპრებს და არაკებს პირაქით გასწავლის ხალხი. ან ეს ბ. გრ. აბაშიძის, ან მამია გურიელის ლექსები ვის რასარგებლობას მოუტანს, ანა და რა ხელ მისაწვდომია ასეთი ძვირფასი წიგნები! ბ. კ. ლორთქიფანიძე წინააღმდეგია მჭედლიძის და აცხადებს, როგორ თუ რა საქირთა ზღაპრები, ზღაპრებში ზნეობრივი აზრებია გატარებული, რომელიც შესამჩნევათ დაეხმარება ხალხის აღზრდას. რაც შეეხება წიგნების სიმცირეს, უნდა ვთქვა, რომ, რაც უფრო კარგია წიგნი, მით უფრო მეტი ფასი უნდა დააწეროს ამხანაგობამ, ცუდ წიგნებს კი ისეთი ღირ ფასი უნდა დააღოს, რომ მისი გავრცელება მოუწერებელი შეიქნესო. ერთობ ღრმა ფილოსოფიაა, თუ არ ზეციერი—მომაკვდავი ვერ გაიგებს! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რის მაქნისია ისეთი წიგნის გამოცემა ამხანაგობის მიერ, რომლის გავრცელებაც ბ. კირილეს აზრით—სასურველი არ არის. გამოცე და აღარ გაყიდო, ეს ხომ ერთიანათ უარის ყოფაა იმავე პირისაგან წამოყენებული კომერციული პრინციპის, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ამხანაგობის გამგეობა. კრებამ მოთხოვა გამგეობას ცნობები იმის შესახებ, თუ სად, რომელ კუთხეში რა წიგნი უფრო იყიდება. გამგეობას არ ქონებია ამის შესახებ ცნობები. სხვა კუთხეების რა მოგახსენოთ, და რაც შეეხება ქუთაისს, თქვა მართველმა, აქ უფრო იაფი და პატარა წიგნები იყიდებაო.

გამგეობას ამხანაგობის კრების დაუკითხავათ ქალაქის ბაღში აუშენებია კიოსკი, ამხანაგობის გამოცემითა გასაწყობათ, აქვე იქნება გასაყიდი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები. კიოსკი, თუმცა დიდი არ არის, მაგრამ მჭიდრო და ლამაზია. ხსენებული კიოსკი 800 მანეთით დაჯდომია ამხანაგობას. გამგეობის ასეთ მოქმედებას ზოგიერთმა ექვის თვალთ შეხედა, გაიკვირვა: ასე პატარა შენობა რეალსი მანეთი როგორ დაჯდაო. ასეთი კიოსკი მოსკოვსა და პეტერბურგში, ბრძანა ბ. კირილემ, რეალსი მანეთი კი არა—ორი ათას მანეთით დაჯდებოდაო. სწორეთ, რომ ახირებული შედარებაა, ასე რომ ვთქვათ, ლონდონში და ნიუიორკში არამც თუ რეალს მანეთით, ოთხას სტერლინგათაც კი დაჯდებოდა, მაგრამ სად ლონდონი და სად ქუთაისი.

კრებას მოხსენდა ის პირობა, რომლითაც 8 წლის წინეთ შეკრულან ერთმანეთ შორის განსვენებული გ. წერეთელი და ქუთ. წიგ. გამომც. ამხანაგობა. განსვენებულს მიუღია ამხანაგობისაგან აფანსათ 200 მ., სამაგიეროთ ნება დაურთავს უკანასკნელისთვის, რათა მას გამოეცა ყველა მისი ბელეტრისტიკული ნაწერები, რაც კი მას ამხანაგობასთან პირობის შეკვრამდე დაუწერია. აფანსათ მიღებულ ფულს გარდა ამხანაგობას უნდა ეძლია განსვენებულისთვის წმინდა მოგების 50%. ამხანაგობას ჯერ მხოლოთ ერთი ტომი გამოუცია და ესეც რვა წლის წინეთ. რადგანაც ამდენი ხნის განმავლობაში ამხანაგობას არაფერი გამოუცია, ამიტომ ქ. ან. წერეთლისათხოს ამხანაგობას, თუ თქვენ არ ცემთ, ისევე პირობა გავაუქმით და ჩვენ გამოვცემით. მაგრამ, რადგანაც პირობაში ვადა არ არის აღნიშნული, ამხანაგობას არ უნდა ჯერ-ჯერობით ელი შეუშვას გ. წერეთლის თხზულებებს და აპირებს გამოცეს. ამ საგნის შესახებ ან. წერეთელთან მოლაპარაკება კრებამ გამგეობას მიანდა.

შემდეგ არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებათ ბ. გრ. გველესიანი (მართველი), ს. მდივანი (მდივანი), თ. მთავრიშვილი (ხაზინდარი), დ. ავალიანი და ვ. თუმანიშვილი (ადმინისტრატორები). სარედაქციო კომისიის წევრებათ: ქ. ე. ნიკოლაძე, ს. ყიფიანი, ი. ხუსკივაძე, ი. ბაქრაძე და ს. ხუნდაძე, —სარევიზ. კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ ისევე ძველები: ლორთქიფანიძე, ი. ჩიმაკაძე და სვანიძე. დაბოლოს წაკითხულ იქნა 33 პირთა სია, რომლებიც ამხანაგობის წევრობაზე აცხადებენ სურვილს. კრება ნაშუადღევს 3 საათზე გათავდა.

Parole.

ფიქრები...

ჯერ კიდევ ვუმღერ მე ჩემს დილასა,
ჩემსა განთიადს ვეალერსები,
ჯერ კიდევ შემწვეს ღონე და ძალა,
არ დამიშვია მე ძირს ხელები.
ჩვენი ცხოვრების შავ თაიგულში
არ ჩამიგდია ცრემლი ლაჩარი,
და მის ტალღებთან ჯერ კიდევ ვიბრძვი
ვდგევარ მის წინა სულით მედგარი!
სამშობლო ჩემი მხოლოთ შრომაა,
ფართოა მისი არე და მარე,
იმისი დროშა—წმიდა დროშაა,
და სამფლობელო—ყოველი მხარე!
ბატონი მისი მხოლოთ სიმართლე,
მისი ტახტია ტანჯული გული,
და შეგების წუთი... წუთი დიადი...
მარად მის სატრფო და სიყვარული!
მაგრამ ვგრძნობ დილას—ჩემ სააღერსოს
ოდესმე დაკრავს შავი საღამო

და ვგრძნობ ჩემ ქაბუკს ძალა და ღონეს
ოდესმე უნდა გამოვესალმო!
მაშინ მძინვარე გამოვლავს ტალღა,
სულით უძღვევლს, ღონით გატყნავს
სამგლოვიაროთ დამიკრავს ზარსა,
გადამატარებს გულზე ქარტეხილს!
წყველა და კრულით სადმე ქუჩაზე
მე დავეკვდები მუხლ-მოკვეთილი,
და აუტყდებათ გამვლელ-გამომვლელს
მხოლოთ სიცილი... მხოლოთ სიცილი...
„ლოთი არიო“ წაიდუღუნებს
და ქუჩის მცველი დასაკრძალავათ
თავშესაფარში ღეთის გულისათვის...
კისერში ცემით წამათრევს ძალათ!
აქ ვინმე ბატონს შეგებრალები
თვის საცხონებლათ მომაწვდის ლუკმას,
გაუკვირდება, რომ ხელს გაუქნევ,
ზიზლით შეგხედავ და ვეტყვი უარს!
როცა მოვეკვდები როგორც წესია...
გამჭრის აქიმი, გასინჯავს მუცელს,
და რომ კუჭშია ვერაფერს ნახავს
მეცნიერულათ ის გაიოცებს!

ჯერ კიდევ ვუმღერ მე ჩემს დილასა,
ჩემსა განთიადს ვეალერსები,
ჯერ კიდევ შემწვეს ძალა და ღონე,
არ დამიშვია მე ძირს ხელები!
მაგრამ ვგრძნობ დილას, ჩემსა განთიადს,
ოდესმე დაკრავს შავი საღამო
და, ვგრძნობ, ჩემ ქაბუკს ძალა და ღონეს
ოდესმე უნდა გამოვესალმო!..

ი. ევლოშვილი.

ციხის კედლებს უშა.

მოთხრობა სკიპალეცისა.

(რუსულიდან).

კაშკაშა მისის დღეა. წმიდა და გრილი ჰაერი თავისუფლათ ჩადის მკერდში. სარკესავით ტრეღის ფერი ცა აქა-იქ დაწინწკლულია თოვლივით სპეტაკი ღრუბლებით. ფრინველთა ჟივილ-ხივილი აკრთობს და აღვიძებს არე-მარეს: აგერ აქ მერცხალმა შეითამაშა და მარდი ფრთებით მოწურა ჰაერი. იქ მტრედის გუნდმა დაიფართხალა, ხოლო დინჯ-ფრთოსანი ძერა კი წყნარათ იქნევს ფრთებს შორს, შორს ცის სიყრცეში და მისი ხანგამოშვებითი სივილი ახმაურებს მიყუჩებულ ჰაერს.

აი მთელი სურათი ქვეყნისა, რომელიც კი შეიძლება დაინახოს კაცმა ციხის ოთხკუთხ თეთრ კედლებიდან, რომელთა შუაგ მომწყვდეულია ორ სართულიანი თეთრივე სახლი, ეკლესია და რამდენიმე მრგვალი კოშკი. ეს კოშკები კბილებიანი კედლებით და სათოფურებით, რაღაც არა ჩვეულებრივ ელფერსა სდებენ ციხეს. მართლაც და ეს ციხე აშენებულია ამ ორასი წლის წინეთ, მისი ქვეშითა სარდაფი და დასამწყვდევი ოთახები ჟამთა ვითარების გამო უფრო ქვევით ჩაწეულან, თითქოს სურთ, რომ უფსკრულში ჩაეკანონო.

ციხის შესავალში აშენებულია მაღალი წიპწიპა სახლი კანცელარიისთვის და უფროსებისთვის. ამ შენობის ქვეშ გაყვანილია ვიწრო თხრილი და ორი რკინის გასავალი მიხაკის ფერათ შეღებილი კარები. კარების აქეთ-იქით მხარეს აყვანილია ორი პატარა საყარაულო სარკმელებით. ერთ იმათგანს გაკეთებული აქვს რკინის ჩარჩო, ხოლო მეორედან გამოჩანს ფარდა და რკინის გალია, რომელშიაც მომწყვდეულია გულ-



ყვითელი მაგალობელი ჩიტი. ამ შენობის საძირკველიც შესამჩნევად ჩაწალილა მიწაში, შენობის ერთი კუთხიდან გადმოვარდნილა კარგა მოზნდილი ქვა, რომელზედაც ზის ხოლმე ყოველთვის ციხის მეკარე ბიკოვი.

ბიკოვი თავით-ფეხებამდე დამრგვალებული გავს თუნუქის მრგვალ ტაბოცს, რომლითაც ტკეპნიან ხოლმე ახლათ ვაკეთებულ გზებს. ის პატარა ტანისაა, ფეხები და ხელებიც მოკლე და სქელი აქვს, უწვევრ-ულვაშო ჩაფიქრებულ სახეზე გულ-კეთილობა ეტყობა.

ზის ის მთელი დღე ქვაზე და ერთობა მხოლოდ მით, რომ ტრედებს პურს უფხვნის. აგერ მას თოფი მუხლებ შუა აუყუდებია, შუბზე ჩამოუკიდია გასაღებები და მის გარშემო კი მტრედები ხარბათ კენკავენ პურის ნამცეცებს. ბიკოვს უყვარს ეს ფრინველთა გუნდი. მისი სახე, სახე სოფლელი გულუბრყვილო ბიჭისა გაბრწყინდება ხოლმე სიამოვნებით. იყოს მამდარი და იღუღუნოს—ეს ხომ მისი საკუთარი ბედნიერების იდეალია. მის კმაყოფილ სახეზე, დიდ და მაგარ შუბლს ეცნევა, რომ მათი პატრონი ერთობ უძრავია და კმაყოფილი. მას არაფერი არ უყვირს, არაფერი არ ექვევება და ამ ქვეყნათ ყველაფერს ისე თვლის, როგორც აუცილებელს, საჭირო მოვლენას. ამგვარი შეხედულება მასში განმტკიცებულია, და თვითაც უძრავაა და შეუტყვევლი, როგორც მიწაში ჩაფარდნილი რკინის ბოძი.

ეზოში ტუსაღები დასეირნობენ... მათ ტანზე აცვიათ თეთრი ტილოს პერანგები, ასეთივე შალვრები და უქუსლო ჩუსტები. გულის პირის შესაკრავი ზორტები ზოგ მათგანს მოწყვეტია, ამიტომ გადაღვლილ პერანგიდან გამოჩანს ზოგიერთების გარუჯული, ჩაშავებული გული.

საზოგადოთ ისინი ძლიერ ცოცხალი და მოძრავნი არიან. მხოლოდ ესავე არ შეიძლება ითქვას ფეხ-ბორკილიან საკატორგოთ გამზადებულებზე: მათ მუდამ ჩაფიქრებული, დაღვრემილი და ამაყი გამომეტყველება აქვთ.

ისინი ფეხებ განი-გან გაწეულნი ერთი და იგივე ნაბიჯით დადიან ერთი კედლიდან მეორემდე და რკინის ჩხარუნი დილიდან საღამომდე მოისმის ციხის ეზოში.

თავ-ნახევრათ გადაპარსულნი, წარბებ მოქრუშულნი და მედიდურნი რკინის ხუნდებში რაღაც ტრაგიკულ სურათს წარმოადგენენ...

სამაგიეროთ დანარჩენი ტუსაღები, რომელთაც არა აქვთ გაყრილი ფეხებში ბორკილები და მომეტებულ ნაწილათ კი ახალგაზდანი მხიარულათ გამოიყურებიან. ერთნი ჭიდაობენ, მეორენი წვეან კედლების ძირში ამოსულ ბალახებზე და ტკებებიან მზის ცხოველი სხივებით. ზოგგან ჯგუფებათ დაყოფილნი „ორიოლ-ორეშკას“ და ბანქოსა თამაშობენ. ამ ხალხის ბიოგრაფია თითქმის ერთი და იგივეა. მათი სიცოცხლე მთლათ ციხის კედლებ შუა თავდება. ციხის კედლებს იქით მათთვის ყოველიფერი უცხოა და უჩვეულო; გაანთავისუფლებენ თუ არა მათ საპრობილედან, ისინი ისევ მალე უბრუნდებიან მას, უბრუნდებიან თვის ჩვეულებრივ ცხოვრებას, სადაც ისინი აღიზარდენ და რომელსაც ისინი შეეჩვიენ.

ციხის მეფხოვე აქნობამდე ტრედებს პურს უფხვნიდა, მაგრამ მოწყინდა მას ფრინველების კვება და ის ფეხზე წამოდგა. ტრედების გუნდმა შეიფართხალა ჰაერში. მეორე მხარეს რამდენიმე ახალგაზდა ტუსალი და თავ-გადაპარსული „კატორენიკი“ ბანქოსა თამაშობდენ. ბიკოვი მოუახლოვდა მათ, დაეყრდო თოფს და დაუწყა მოთამაშეთ ყურება.

თამაშობდენ შავ ფულზე და ერთ რაღაც შუა გადახეულ წიგნზე. „კატორენიკები“ ჩუმათ გადადიოდენ ბანქოს, მხოლოდ ხანდინან გამოეცაპარაკებოდენ ხოლმე ერთმანეთს.

— „იოანე“ წაგებულა!

— მოდის „მათე!“

— მაშ მეოთხეა რაღა?

— მეოთხეა!

— მოდის! გაგაცურებ!

— ღმერთო ჩემო! წამოიძახა განცვიფრებულმა ბიკოვმა, ეს ხომ სახარებაა? ვინ დაადო სათამაშოთ?

— ეიკომ! უგულოთ უპასუხეს მოთამაშებმა.

ეიკო, ტუსალი ქერა წვერ-ულვაშით და უსირცხვილოთ გამომეტყველი თვალებით გამოიყურებოდა მხარ-თეძოზე წამოწალილი და ატრიალებდა ბანქოს.

— მერე რა გსურს? მიუბრუნდა ის ბიკოვს.

— როგორ თუ რა, გაჯავრებთ უპასუხა ბიკოვმა, სახარება და ბანქოში ჩაგდება? ოხერო შენ რუსი არა ხარ? ტყუილათ კი არა გაქვს ვგ რაღაც უცნაური გვარი—ეიკო!

— დიახ, მე ინგლისელი გახლავართ! უპასუხა ამაყათ ეიკომ და ორ ტოტათ გაშვებულ წვერზე ხელი ჩამოისვა. ის თავისი ჩამოგძვლებული სახით და კატლეტის მზგავს ბაკენბარდებით მართლაც ინგლისელსა გავდა.

ბიკოვმა უკმაყოფილოთ გაიქნია თავი.

— გუშინ არ იყო, რომ მონათლულმა ურიამ სახარება დაგირივათ და თქვენ კი დღეს ბანქოს თამაშობთ?

— გაჩუმდი, შე ტაბოცო, შენა! ზიზღით უპასუხა ვილამაც. არა, რა გესმის, შე უტვინო, ჰა?

ბიკოვმა ღიმილით აიღო სახარება რუსულ ენაზე დაწერილი, გადაფურცლა თვისი მოკლე თითებით და მიძიმეთ ჩათვალა:

— „ღმერთი არს სიყვარული“.

და ჩაფიქრდა.

— აჰა, აბა გესმის რას ამბობს და რისთვის? ეკითხება მას ეიკო.

— „რომელსა ქონდეს ტანსაცმელი ორი“, ჩაყვა ქვევით ბიკოვი, მიეცი იგი უქონელსა და რომელსა გკრას ყვრიმალსა შენსა, მიუშვირე მას მეორეცა!“ აქ ბიკოვმა გამარჯვებულის სახით გადახედა ეკოს.

— აი, როგორ არის წესი! თქვა მან და კოჭრიანი თითი დაადვა სტრიქონებს.

— უტვინო ხარ! მიუგო მას ეიკომ. უნდა მაგრამ არ მივცემ. ეს სამლო წერილია და ჩვენ არ შეგვეფერება: რა უნდა მიცეს ტუსალმა სხვას, როდესაც მას თვითონ არაფერი გააჩნია და ტანისამოსიც სახელმწიფოა? რაც შეგება ყვრიმალს მე მთელ ჩემ სიცოცხლეში სულ მცემენ, თუნდ მიუშვირე, თუნდ არა, გიტყაპუნებენ და გიტყაპუნებენ.

ტუსაღებმა გულიანათ გადაიხარხარეს, გაეცინა ბიკოსაც.

— ალბათ ღირსი იყავ და გცემდენ, უპასუხა ბიკოვმა, იყავ შენ ქერქში, აკეთე წესიერათ შენი საქმე და ხელს არავინ გახლებს.

— რას მიქარავ, შე ოხერო, რა საზიზღრათა ლაპარაკობ! შენ კმაყოფილი ხარ, რომ ციხის მეფხოვე ბრძანდები?

— კმაყოფილი ვარ.

— შენი შვილებიც, შენი შვილიშვილებიც მეფხოვები იქნებიან, ან არა და ლაქიები. აბა წარმოიდგინე შენ: მიდიან ჩემი შვილები გემის მეორე კლასით და სადილობენ, შენი შვილები კი ემსახურებიან, საკმელს უზიდავენ და ასე, ამგვარათ საუკუნოთ! განა ეს სამართლიანია?

— სამართლიანია! უპასუხა ბიკოვმა და თავი თოფის ლულას მიაყრდა. ის უძრავათ იდგა მოკლე, სქელ ფეხებზე და ამ წამში გავდა იმ რკინის ბოძს, რომელსაც ამაოთ დაუწყებდით შთაგონებას. ეიკო უყურებდა მას ზიზღით.

— ტაბოცი! წაიბუტბუტა მან და განაგრძო ბანქოს თამაში.

— აი, შენ ყველაფერი შეგიძლიან, იცო დურგლობა, ზე-
ინკლობა, ყდის კეთება, მაგრამ მუშაობა კი არ გინდა, ცულ-
ლუტობ. უთხრა მას გულკეთილი კილოთი ბიკოვმა.

ვიკოს თვალები სიბრაზისაგან წამოუწითლდა, გძელ „ინ-
გლისურ“ სახეზე ერთ წამს სიბრაზის აღმურმა აკრა.

— ვივლი მშიერი და არ კი ვიმუშავებ! წარმოთქვა მან
გადაწყვეტილი კილოთი და თვალები სადღაც ჰაერში მიაშ-
ტერა, თითქოს ბიკოვს კი არა, ვიღაც უხილავს ელაპარაკე-
ბოდა. მას სწორეთ ის უთხრეს, რაც ყველაზე უფრო ეჯავ-
რებოდა, ამიტომ თითქოს იგივე ამგვარი სიტყვებით სამაგიე-
როს უხდიდა ვიღაცას, რომ აი, მე ვიკო, კი დურგალიცა
ვარ, ზეინკალიც, ყდის მკეთებელიც, მაგრამ არ კი ვიმუშა-
ვებო.

ირგვლივ კი ისევ ისე დინჯათ, ბორკილების ჩხა-
რუნით დადიოდენ „კატორჟნიკები“.

ამ დროს ეზოში გამოიბრინა ერთმა გლეხმა ტუსაღმა და
მივიდა ბიკოვთან.

— კიტრები არ გინდათ? ცოლი მომივიდა! წამოიძახა მან
ღიმილით და თხოვნის კილოთი მიუბრუნდა ბიკოვს. ტუსა-
ღებს გაეცინათ.

— ხომ კარგათ მიდის, კლემაშევ, შენი ვაჭრობა? კლემა-
შევს ბავშვივით გაეცინა.

— რის ჩემი ვაჭრობა, ჩემი კი არა ცოლი ვაჭრობს, მე-
კი ჯერ კიდევ ოცი თვე უნდა ვიჯდე ციხეში. სულ რეა მა-
ნეთის გულისთვის, მოდი და ნუ გეწყინება! ფეიქრობდი ქუ-
რღობით გამომეკეთებინა ჩემი საქმეები და უარესი კი დამე-
მართა. გადაწყვეტილია! აღარ ვიქურდებ!

— ხა, ხა, ხა, ხა! გადაიხარხარეს ტუსაღებმა.

კლემაშევმა გადახედა მათ ბავშური ღიმილით და თვითონ
ნაცსიცილი დაიწყო.

— რასაკვირველია, უთხრა მას დარიგების კილოთი ბი-
კოვმა, ერთხელ გადაწყვიტე შენ გულში, რომ აღარ იზამ და
აღარც იქურდებ! ასეა, აი ღვინის სმაც ასეა!

— მაშ, მაშ, ასეა! დაიწყო სიხარულით კლემაშევმა. აი
სულ იმის ფეიქრში ხარ, რომ როგორმე ოჯახის საქმეები გა-
მოაკეთო და გამოდის კი უარესი! მე კინალამ ჯერ ისევ შარ-
შან არ ამოგყავ თავე ციხეში. ვმუშაობდით ვაჭარ ბაშკირთან
ვეზიდებოდით ფეიქლს. როდესაც მუშაობა გავათავეთ, მეორე
ცარიელი ტომარა ამოვიფარე ტყავის ქვეშ, შემიტყეს და მი-
თხრეს: ან ახლავე წაიღე შენი პასპორტი, ან არა და ციხეში
მიბრძანდიო, მეც პასპორტი უკანვე წამოვიღე.

— ნუ მოიპარავ! უთხრა მას ბიკოვმა.

მაღალი მხარბეჭიანი ტუსაღი სიცილით გამოეხმაურა კლე-
მაშევს.

— ნუ პარავ ვაჭრებს, ხომ იცი შენისთანებისთვის ციხეა!
შენ სადა მსახურობდი, სალდათათ იყავ?

— მე რომანაში ვმსახურობდი.

— კიდევ სადა ყოფილხარ? ოდესა გინახავს?

— არა.

— უჰ, რა ქალაქია და, როგორი ნავთ-სადგური! ქუჩები!
ზღვა როგორა ხმაურობს! სიცოცხლეა რაღა, სიცოცხლე!

ამ მოგონებაზე ტუსაღს სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა
სახეზე,

— მოსკოვში არა ყოფილხარ? არა? რა კარგია და! არც
პეტერბურგში? თფილისში? ასტრახანში მაინც? არა? მაშ სადა
ყოფილხარ? არსად?

— მე არსად არა ვყოფილვარ, მიუგო ბიკოვმა, მაგრამ
შენ კი გეტყობა, რომ ქვეყანა შემოგივლია.

— მართალია, ქვეყანა შემოვიარე. სად არ ვიყავ? ვიყავ

ბაიკალზე, თათრის სრუტეში, ვიჯექ ყველა ციხეში, ვაფი-
ყოველნაირი ხელობა...

იმან კვლავ გაიღიმა მომხიბლავი ეშმაკური ღიმილით.
დაუმატა:

— ციხე ოსტატია, ყველაფერს გასწავლის. აი, აბა შე-
რის მაქნისი ხარ? რა გესმის ცხოვრების, აუმაღლა მა-
უცებ, შენ კაცი გელაპარაკოს ვითომ კედლისთვის ცერცვ
შეუყრია!

— დაანებე ერთი შენც თავე და, ჩაერივნენ სხვა ტუს-
ღები, აბა ვის ელაპარაკები. უკეთესი არ იქნება, რომ ჩვენ
„მელექსემ“ ერთი ლექსი გამოგვიცხოვს. ეი, მქავე ბორჩის შ,
მღგენელო, აბა ერთი შეაყოლე!

ეს სიტყვები მიმართული იყო ერთ ახალგაზნდა, დაბალ, მო-
უხეშავ ტანის, ლურჯ თვალემა და პტყელ შუბლა ტუსაღისა-
კენ.

მან ჩაიღიმა და მოუხეშავი პირით უპასუხა.

— დამცინით და მთხოვეთ კი?

— ჰო, ჰო, კარგი ნუ იბრანჭები და! დაიწყე!

„ლექსთა მთხზავი“ იჯდა ფეხებ მოკეცილი, მას თავე ჩა-
ლუნული ქონდა, ცოტა ხნის შემდეგ დაემორჩილა ამხანაგე-
ბის თხოვნას და დაიწყო მოუხეშავი ხმით ზეპირათ:

შავო თვალემა, ჩემო მკვლელემა
ახალგაზნობა თქვენ დამიტყვევეთ
არ შემიძლია, ვთქვა ტკბილი სიტყვა
გენის ცეცხლი გულში ამინთეთ.
შავ-ბნელ ღამეში გამიტყდა ძილი,
ღამწვა, დამადნო მე სიყვარულმა,
გადაიტანა ჩემი ძალ-ღონე.
ტიალ ციხეში ამ ტიალ ბედმა...

ლექსის მთქმელი შეხედულობით არ იყო თვალსაჩინო.
პერანგის საყვლოც გახსნილი ქონდა და იქიდან მოჩანდა გა-
რუული შებანჯგლული მკერდი. სწორეთ წარმოუდგენელი
იყო, რომ „შავთვალემა“ აღძროდა მისდამი სიყვარულის
გრძნობა, მაგრამ ის მაინც თვლიდა დაქინებით:

მაგრამ მიყვარხარ, ჩემო ლამაზო,
მზეზე უმეტეს და სიცოცხლეზე,
შენ მიჩვენებხარ ყველა ქალემა,
შენ მყავხარ ერთი მთელ ქვეყანაზე.
ოხ, ციხევე, ციხევე, ციხის კედლებო,
თქვენა წოვთ სისხლსა ჩემი გულიდან,
მიწუხებთ სულსა, მაშფოთებთ, მტანჯავთ
და ნაღველი მდის მწარე წყლულიდან.
ოხ, ბედო, ბედო, ბედო ტიალავ,
ბედო ავ-ბედო, ბედო ოხერო,
აქ უნდა ვიჯდე, ამ ბორკილებში,
ბედო შავბედო—გულის დამწველო.
უნდა ვითმინო უფროსებიდან
პანღურ-პანღური და შეჩვენება,
მეტადრე ერთი შეჩვენებული,
როცა სიბრაზით მხეცს ედარება—

მართალია! აღმოხდათ ტუსაღებს საერთოთ, პოეტი კ
თვლიდა და თვლიდა შეუწყვეტლათ:

მას სუყველანი ეჯავრებიათ,
კაცობრიობა სულაც არა აქვს...

— სვოლოჩ! ხსნიდენ მსმენელები.

— უჰ, ტყავს აძრობს რაღა! თქვა აღტაცებით ბიკოვმაც.

— არა, მაგისთვის არ ჩავსვა კარცერში?

— რაა კარცერი მაგისთვის? მაგას შიგ გვერდში აქვს გა-
ქედლი ტყვია! რა არის კარცერი?

— ყიყლიყო! გაისმა ეზოში მაღალი ყივილი.

ეს იყო მზიარული და ეშმაკი სახის ტუსალი. ის იდგა შუა ეზოს და ისე მიმზავდებოდა ყოვლად, რომ საითგანღაც ციხის გარედან მამლები გამოეხმაურენ. მას ხელში სამი კოვზი ეჭირა და ერთმანეთზე კაკუნით სათამაშოს უკრავდა ყარაჩების სიმღერის კილოზე:

ვისეირე მინდორ-მთებში—ქალაქში,
ვისეირნობდი მე ლამაზ ტარანტასში,
მაგრამ დახე გამიტყდა ტარანტასი,
იყო სწორეთ ოქროს წონა და ფასი.
ტარანტასო, ჩემო ტურფა ტარანტას,
თუ ღმერთი გწამს, მასეირე ცოტა ხანს!

კოვზები ისე ასდევდნენ მის მოთვლას, რომ თითქოს ისინიც სიტყვებს იმეორებდნენ. ერთ წამში საითგანღაც გაჩნდა მის წინ ორი ყარაჩი, ორივენი შავი სახისა, შავი წვერ-უღვანით, ისე გვანდნენ ერთმანეთს, როგორც ღვიძლი ძმები. მათ თამაშობა დაიწყეს, ხტოდნენ ამ საუცხოვო მედლოლის გარშემო მაიმუნებოვით, ის კი მიდიოდა ნელის ნაბიჯით და კოვზების რაკარუკით იქით, საითაც მელექსე და მისი მსმენელები ისხდნენ, თან თვლიდა გზა და გზა:

დაიხრჩო ზღვაში, ძმებო,
და უშველეთ ყარაჩსა,
არა, ზღვაში, კი არა,
ის ჩავარდნილა ქასა!

— გეი! გეი! აძლევდნენ ბანს ყარაჩები და თან ხტოდნენ ტუსალის ჩუსტებით.

ჩუსტები—ჩუსტები,
დაცვეთილი კონკები...

მღეროდა მემუსიკე და თან უახლოვდებოდა ტუსალების გროვას.

— ვიმღეროთ? შეეკითხა ის მათ როცა მივიდა ახლო. ტუსალებმა თანხმობის სიცილით უპასუხეს, მხოლოდ „კატორენიკები“ კი ისევ ისე ნაღვლიანათ დადიოდნენ ეზოში და აჩხარუნებდნენ ბორკილებს.

თეთრ, მაღალ კედელთან შეიკრიბნენ მომღერალი ტუსალები. ზოგი მათგანი ჩამოჯდა კედლის გამოკვეთილზე, ზოგი კი გაწვა ძირს და გაქიმა ბორკილიანი ფეხები, ზოგ მათგანს ნახევრათ მოპარსული თავი მუხლებზე დაეყრდო, მომეტებულ მათგანი იდგნენ ირგვლივ, ზოგიერთები მხარეთქოზე იწვევენ. საუცხოვო და მასთან რაღაც განსაკუთრებულ საყურებელს წარმოადგენდა ეს კრება ტილოს პერანგებით, ტიტველა კისრებით, გადახსნილი გულით და მიხაკის ფერათ ჩაშავებული სახით. მათ ყველას ენერგიული და განსაკუთრებული გამოძეტყველობა ქონდათ, არც ერთს არ ემჩნეოდა უნიჭობა, ან დაჩაგრულობა... ზოგიერთი ახალგაზდა და თითქმის ინტელიგენტური შეხედულობისანი ძალაუნებურათ აღიბეჭდებოდნენ თქვენს ხსოვნაში. ზოგიერთ მათგანს მკაცრი და დაღვრემილი სახე ქონდა, საერთოთ კი ყველას რაღაც ერთნაირი ელფერი, რომელიც განსაკუთრებით ტუსალების თვისებას შეადგენს: ეს თვისება ძნელია კაცმა ერთი სიტყვით აღნიშნოს. ეს არის მრავალწელთა განმავლობაში დაუმორჩილებლათ ბრძოლა, მითი გამოითქმება რაღაც წინააღმდეგობა მთელი ქვეყნისადმი.

ტუსალი, რომელიც კოვზებით უკრავდა „ლოტბარი“ გამოდგა. ის იდგა დასის პირდაპირ, მედიდურათ აწია კოვზები მაღლა და მკაცრათ მოაელო თვალი მომღერლებს. ქუდი მას კეფაზე გადავარდნოდა და პტყელ მეფისტოფელის შუბლის ზევით მოჩანდა მოკლეთ გაკრეჭილი ჯაგარივით თმა.

მის სერიოზულ სახეს ოდნავ იუმორი დაკრავდა. მომღერლებმა ერთბაშათ ამოუშვეს ხმა. „ლოტბარი“ იქნევდა ჰაერში კოვზს, როგორც „მოესღრა“. კაცს ეგონებოდა თვით მეფისტოფელი ლოტბარობდა ქურდების, მკვლელების და მაწანწალათა დასს. მზე დაკაშკაშებდა თავზე ამ სურათს. ისინი მღეროდნენ:

ზაბაიკალის ველურ მინდვრებში, სადაც რო ოქროს თხრიან მთებში, წყველის თავის ბედს იქ მაწანწალა და დაძრწის გულით ხევ-ხუვებშია. მას გვერდზე ქვაბი დაუკიდია, გამხმარი პური შიგ უჩხრიალებს და შოროქანზე მიდის წყნარათა, აქ მინდვრის მხეცი მას უდარაჯებს. პერანგი სულ მთლათ ჩამოგლეჯია, დაუფარნათ საკერებელ ჩვრებს, თავზე ქუდ-ჩაჩი გადახვევია და ათრევს ციხის ხალათ-ტანსაცმელს. რამ წამსვე მივა ბაიკალთანა. მეთევზის ნავსა წყალს შეაცურებს და სამშობლოზე ნაღვლიანი ხმით მწარე სიმღერას ის დაამღერებს...

კაცს თავის თვალთ უნდა ენახა ეშმაკური სახე „ლოტბარისა“, რომ გამოეცნო ის მწარე დაცინვა, რომელიც გამოიხატებოდა მის სახეზე მაწანწალის მიერ სამშობლოს ძებნის შესახებ. სიმღერა გუგუნებდა. მის ჰანგებში რაღაც რომანტიული ცხოვრება იხატებოდა. ეს სიმღერა მოგვითხრობდა საუკუნო წანწალს, აქეთ-იქით თრევას, ის ხდიდა ფარდას ამ ხალხის ცხოვრებას, გვიჩვენებდა საშინელ დრამას უცვალებელათ სისხლის დანთხვევის შედეგით. თვით ცხოვრება ცემს ამისთანა პოეტ-მომღერლების ჩანგს, და ათქმევინებს მას ნაღვლიან ლექსს, განსაკუთრებულ სამღერელ ხმას.

„ლოტბარმა“ ანიშნა ერთ მომღერალთაგანს ხელით და ტენორმა დაიწყო ნარნარი კასკასა ხმით:

ცი-მბირ-ში მე დავ-სე-ირობ,
ა-ხალ-გაზდა-გად-მო-სული...

დანარჩენებმა ბოხი აკორდით, როგორც როიალის აკომპანიმენტი, მიაყოლეს:

ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა!
ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა!

ქალო, ქალო, ობოლ ოხერს
მომე შენი სიყვარული.

გაიწკრილა ჰაერში წმინდა ხმამ. ამ ხმას მღეროდა ტუსალი, რომელსაც სოლოვეის ეძახდნენ, ის იყო მომღერალი და მოთამაშე. ის იყო პატარა ტანისა, შავი პაწია უღვაშებით ღონიერი და მარდი. ის იჯდა მომღერლების შუაში წყნარა, მის ირგვლივ იდგნენ დანარჩენები. ტენორებს ნახევრათ შემოეფარვლათ წრე, მათ სახეზე ქურდობის და გაიძვერაობის ბეჭედი ესვა. ბოხი ხმები ისხდნენ ძირს ბორკილებში.

წამოგყვებით ჩვენც რუსეთში,
შარა გზები გადვიაროთ,
სულ მთლათ მოგრთამ იარალში,
აბანოში ვიქეიფოთ.

— ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა! უწყობს ბანს დასი. მეფისტოფელური სახე სიამოვნებით ბრწყინავს და სოლოვეი კი აკრიმანქულებს:

გამოგიჭრი ძალღებისთვის
ერთ მძიმე და სქელსა კეტსა
და ღუქანში მე წავიღებ
შენ ბეჭდებს და საყურესა.

— ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა! აგუგუნებენ ბოხი ხმები. ბიკოვი კი ამ დროს გაუნძრევლათ, ბოძივით იდგა ერთ ადგილს და გულ-კეთილათ უღიმოდა მომღერლებს.

გამოგიჭრი ძალღებისთვის
ერთ მძიმე და სქელსა კეტსა
და ღუქანში მე წავიღებ
შენ ბეჭდებს და საყურესა.

— ტუმ-ბა—ტუმ-ბა—ტუმ-ბა! აგუგუნებენ ბოხი ხმები. ბიკოვი კი ამ დროს გაუნძრევლათ, ბოძივით იდგა ერთ ადგილს და გულ-კეთილათ უღიმოდა მომღერლებს.

მომღერლებს თან და თან ემატებოდნენ ამხანაგები. საქმე თამაშობამდე მივიდა. ახლა სიმღერის ანგი შეცვალეს და გადავიდნენ სათამაშო კილოზე:

ჰოი, მუხა—მუხა—მუხა...

ისმოდა აქეთ-იქიდან მხიარული ხმები.

— ეი, სოლოვეი! ითამაშე რაღა ერთი ამ გათავებისას!

— რა, სასამართლოში არა ყოფილა?

— როგორ არა, იყო დღეს!

— გაამტყუნეს?

— სამი წლით!

— გა-ა—უსვი, სოლოვეი!

ის გამოაგდეს წრის შუაში. სოლოვეი ცოტახანს გაჩერდა და რამწამს იპოვა ფეხებისთვის შემწყობი ჰანგი გაუსევა ელვის სისწრაფით. პირველსავე ფეხის ათამაშებაზე შეატყობდით, რომ ეს უბრალო მოცეკვავე არ იყო, ასე ცეკვავენ მხოლოდ ცირკში.

მგალობლები კი იდგნენ ირგვლივ პერანგ გადახსნილები, გაშავებულები, გადაპარსული თავებით და გუგუნებდნენ:

ჰოი, მუხა—მუხა—მუხა...

— გაუსვი, სოლოვეი!

— სულ ერთია ეხლა შენთვის!..

ი ე ლი.

(შემდეგი იქნება)

ძველი ცოდვა ახალ რედაქციაში*).

მოგესხენებათ, რომ ერის ცხოვრებაში ყოველ ხანას თავისი საკითხი იქვს, ესა თუ ის ტკივილები აწუხებს, ამა თუ იმ გულ-ნადების განხორციელებას ანდომებს უმთავრეს და უმჯობეს ძალას. გაივლის ეს დრო და ახლა სხვა საკითხი წამოყოფს თავს და აუცილებელ გადაჭრას ითხოვს, საშინელ სფინქსივით აღიმართება და, თუ არ გამოიცან, მიწასთან გასწორებას გიქადის; გადიკრება კითხვა და ახლა სხვა ტკივილი აიშლება, იარა პირს გაიხსნის და აქაც სეროიზული დაკვირვება, ექიმობაა საჭირო. ასეთია ყოველი ცოტათ თუ ბევრათ კულტურული ერის ცხოვრება და ცხოვრებასაც ეს ახალ-ახალი კითხვები აცისკროვნებს, სიცოცხლის ნიშან-წყალსა სდებს. ამნაირათ ცხოვრება აზვირთებულ მდინარეს წააგავს, საცა მუღღივი მოძრაობაა—ერთ ზვირთს მეორე ცვლის, მეორეს-მესამე და მათ წინ სრბოლას არც საზღვარი აქვს და არც დასასრული.

რა ადგილი უნდა დაიჭიროს, ან უკეთ რო ვსთქვათ, რა როლის კისრება შეუძლია ამ შემთხვევაში ჟურნალ-გაზეთობას, საზოგადოთ პრესას? ჩვენში, საუბედუროთ, ბევრი იმ აზრის არის, თითქო გაზეთს რაიმე მიმართულების შექმნა შეეძლოს, თითქო გაზეთი ცხოვრების „ტონის“ მიმცემი იყოს, ის ბადებდეს საზოგადოებაში ამა თუ იმ მისწრაფებას, ის აყენებდეს და სწყვეტდეს საკითხს, მას შეეძლოს ერის მარშრუტი შეცვალოს და სხ. ერთი სიტყვით ცხოვრების ჩარხის ტრიალს თუ მთლად არ ამყარებენ პრესაზე, უმთავრეს მომქმედ ძალათ მაინც მას თვლიან და ასახელებენ. ასე ფიქრებს არა ერთი და ორი, ასეთი რწმენისაა არა უვიცი და გაუნათლებელი, ეს უკვე ქეშმარიტებათ აქეთ აღიარებული არა მარტო ბევრს გაზეთის მკითხველებს, არამედ ბევრს გაზეთის ხელმძღვანელთაც კი. მაგრამ, ეს რომ შეეცდარი აზრია, ამის თვალსა-ჩინო და საოცარი სიმართლით დამამტკიცებელი, შორს რომ არ წავიდეთ, თვით „ივერია“ ეს ორგანო ერთი უხუცესთა-

*) გუჭდავთ ამ წერილს, თუმცა პატივცემულ ავტორს საკესებით არ ვეთანხმებით.

განია ჩვენ ქართულ ორგანოთა შორის; მან ერთი მეოთხედი საუკუნე უკვე მოიგდო ზურგზე და მეორე მეოთხედის შეკვდგზა მშვიდობისა. დიახ, „ივერიის“ მთელი 25 წლის „მრალწეობა“ ამას გვიმტკიცებს, რომ შეიძლება გაზეთთა თანე საკუთარი იდეალები საერო იდეალებათ დასახოს, თავი რწმენა მთელი ერის რწმენათ გამოიტანოს, თავისი სათაყნებელი საგანი ხალხის სათაყვანებელ საგნათ გამოფინოს, გრამ, მიუხედავათ ყველა ამისა ერი, ისტორიიდან დანიშნუგზას ვერ აცდება და გაზეთის იდეალი თუ რწმენა მისი იდეალათ და რწმენათ დარჩება, რედაქციის კარებს ვერ ეშორდება, გაზეთის ფურცლებზე ქადაგება სხვა არის, და ნონი აუცილებლობისა სხვა.

მართლაც, ცხოვრებას რომ „ივერიის“ ქადაგებისათვე ყური ეგდო, ჰერი-ჰაა! თუ ბანკის გუნდრუკის კმევაში დრდაგვრჩებოდა, ისიც გუთნისთვის უნდა შეგვეწირა და გამიფიტულ მიწისთვის შეგვევლია უკანასკნელი ძალ-ღონე, მშვიდმწყურვალი გვეტანტალა და გომურს ვერ გაგშორებოდის აკი ქადაგებდა „ივერიის“ რედაქტორი: „დიახ, ბატონებო ჩვენის გულითადის ფიქრით ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანია... გუთანია, ქართველებო, გუთანია! და ხმალი იყოს ფარი მისი; თავი და ბოლო აქ არის დამიჯვრეთ!“ *) იგივე „ივერია“ არ ქადაგებდა კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ჩვენში რა ხელი აქვსო და ხალხს ნანინას უგალობდა? „ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წეს-წყობილება არა თუ არ არსებობს, პირიქით ჩვენ ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას“, — ასე სწერდა ბ-ი ლალი „ივერიაში“. **)

დიახ, „ივერიამ“ ბანკი დასახა მთელი ერის სათაყვანებელ საგნათ, მანვე გუთანია აღიარა ერის ხსნის ერთათ. ერთ საშვალებათ და მის ფურცლებზედვე მართავდნენ საფრთხობელთა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ, მოგესხენებათ, ყველა ეს „ივერიასვე“ დარჩა სრულ საკუთრებათ, ცხოვრებამ კი თავისი ქნა.

ასეთი საგულისხმო მაგალითი უძვეს თვალ-წინ უკვასაკობას გადასულ „ივერიას“, მაგრამ ის ვერ ამჩნევს ამას, ამ გაკვეთილმა უქმათ ჩაიარა მისთვის და ერთი იოტის ტოლა გამოცდილება ვერ შესძინა მას, ცხოვრებას ვერ დააკვირვა; ის ისევ ძველებურათ მსჯელობს, ძველებურათ აზროვნობს. საითგანდაც რაღაცას გამოატყვერენს, არ არსებულს არსებულათ და ხორც შეუსხმელს ხორც შესხმულათ დასახავს და ასტეხს ვინხარ მამაცს: აქ არის მთელი ერის ბედი და უბედურობა. ასეთი ჭეჭა და ქუხილი ასტეხა „ივერიამ“ 27 ივნისის ფელეტონში. მართალია სომხებზე ომის გამოცხადება და ქულზე კაცის გამოყვანა პირველი არ არის ამ გაზეთისთვის, მაგრამ მარტო ის გარემოება, რომ დღემდე არ მიუტანია ივერიში ქართველ ხალხს სომხებზე, თუმცა „ივერია“ დღიდან თავის გაჩენისა საომარ ბუკსა და ნალარას აყვირებს, მარტო ეს გარემოება, ვიმეორებთ ჩვენ, საკმაო საბუთია იმისი, რომ ეს რაღაც „ეროვნული ბრძოლა“ „ივერიის“ მოჩამხული ამბავია, ცხოვრების სრული უცოდინარობის და უსაქმო ფანტაზიის ნაყოფია.

მართლაცდა 25 წელიწადი დღე-მუდამ, სისტემატიურათ ჩაგჩიჩინებდნენ: ხელი ხმაღს, კა მაგასო! და შენ არა თუ ხმაღს ხელი არ სტაცო, გულიც კი არ აგიძვერდეს საომრათ და სისხლმა ძარღვებში თამაში არ დაიწყოს, მერე ვისმა სისხლმა? ქართველისამ, — საოცარია, გასაშტერებელია. და რა არის მერე ამის მიზეზი? ის, რაც წინათ მოგახსენეთ: უნიადაგო ფანტა-

*) „ივერია“ 1881 წ. № 11, შინ მიმოს. **) 1895 წ. № 34.

ზიორობა. „ივერიას“ თავიდანვე დაჩემდა ასე უგზო-უკვლოთ სიარული და ახლაც ამ გზას ადგია. აქაც გზა მშვიდობისა!

ჩვენ, მართალი მოგახსენოთ, არაფრათ გვეპრიანება კამათი იმ გვარ კითხვაზე, რომელიც ერში არ არსებობს, ერის წყლულს არ შეადგენს, ერის მოძრაობით არ არის გამოწვეული. ამგვარი კითხვაა ქართველ სომეხთა კითხვა, ან უკეთრო ვთქვათ არაერთი კითხვა არ არის; შეიძლება კი „ივერიის“ კითხვა იყოს, მაგრამ სწორეთ ამისთვის ის განხრეტილ გროშათ არა ღირს, და თუ ჩვენ მინც კიდევ ხმას ვიღებთ, ეს იმითი აიხსნება, რომ ვგუსრს ერთხელ და საბოლოოთ ვაუწყოთ განახლებულ რედაქციას ძველი ცოდვის აკიდება და გზა დავულოცოთ.

გავყვეთ „ივერიის“ პუბლიცისტს, მაგრამ შორი-ახლოს კი, მკითხველო, თორემ, მოკეხსენებათ, ვაბოროტებული კაცი, და ისიც იარაღში ჩამჯდარი, ვინ იცის რას მოახდენს; სიფრთხილეს თავი არა სტკივა. რას უკეთინებენ სომეხებს? რამ გამოიწვია „ივერიის“ პუბლიცისტის საომარი ხმა? შემდეგმა ბუნებრივმა და უბრალო გარემოებამ: სომეხები პრეწველობას და ვაჭრობას ეწევიან, სომეხები ჩარჩობენ. მოგახსენებთ; რომ ადამიანის სურვილი და მისწრაფება, აზრი და მოქმედება მჭიდროთ დაკავშირებულია მის სოციალურ მდგომარეობასთან, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, იმ პირობებთან, რომლებიც მას გარს ახვევია; ერთი სიტყვით ადამიანი მთელი თავისი არსებით ცხოვრების რეალურ პირობების პირშია შეილია. ცხოვრების რეალური პირობები თავის დაღს ასვამს ადამიანის გონებას, მის მოქმედებას; ეგვევ პირობები აიძულებენ მას იაროს ამა თუ იმ გზით. სამშობლოდან დევნილი სომეხობა, საკუთარ მიწა-წყალს მოკლებული ისეთ ადგილებს ეტანება, სადაც ვაჭრობა და აღებ-მიცემობა შესაძლებელია. ის პირველათ ფეხზე ვაჭრობას იწყებს, ჩარჩობას ეწევა. სომეხობა ამ გზაზე თან და თან მაგრდება, საღებ-მიცემო და სავაჭრო საქმეებს თან და თან აფართოებს. ისტორიამ ეს გზა არგუნა მას და ამ გზაზე უნდა შემდგარიყო. ვაჭრობა-მრეწველობის ერთი ნიშნობლივი თვისებათაგანი ერთის მეორესაგან ექსპლუატაციაა, უმცირესობისაგან უმრავლესობის დაჩაგრვა, გაღატაკება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ როლს ჯერ-ჯერობით უმეტესათ სომეხობა ასრულებს, ხოლო დასავლეთ საქართველოში მისივე დიდი შეილება. *) აქ ერთი საკითხი იხადება: თუ „ივერიის“ ტერმინოლოგიით ვინეზმდღვანელებთ, დასავლეთ საქართველოშიაც ეროვნული ბრძოლა არსებულა, მაგრამ რომელ ერთა შორის? იმერელთა და იმერელთა, გურულთა და გურულთა და მეგრელთა და მეგრელთა შორის. ნუ ეცინება, მკითხველო, ეს ასეა, თუ „ივერიას“ ერწმუნები. მაგრამ მე ვიცი შენ არც ასე გულ-უბრყვილო ხარ, ასე ახირებულათ არავისი გჯერა და მით უმეტეს „ივერიის“; კარგსაც შერები. მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ „ივერიამ“ აურია. აურია, ბატონო, თორემ ამდენანს რას ბრძანებთ... ქვას ქვაზე აღარ დავაყენებდით. მე რომ მხატვარი ვიყო შემდეგ სურათს გადავიღებდი ტილოზე: ერთი მხრით თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი „ივერიის“ პუბლიცისტები ქართველს, — რომელსაც გარშემო სომეხი, ქართველი და უცხოელი ახვევია და თითოეული თავისაკენ ეწევა, უნდათ რაიმე წაგლიჯონ, — უსისიანებენ სომეხს და საჩხუბრათ აქეზებენ; საკოდავი ქართველი კი გულ-ხელ დაკრეფილი მთლიათ კითხვის ნიშნით გადაქცეულა და ფართოთ გაღებულ თვალებით მიშტერებია „ივერიის“ შეომართ, თითქო ეკითხებო: რაღა სომეხზე მითითებ, ბარემ ქართველა დავა-

ბრჩო, ეს უფრო უბრალო არ იქნებოა. დიხ, ეს ნამდვილი სურათი იქნებოდა. რამდენი წელიწადია ავერ საკოდავი მკითხველი „ივერიისა“ ვაოცებული ეკითხებოდა: რაშია თავს: რატომ მინცა და მინც აკოფიანს ვეცე ყელში დასახარებათ და მაღალადეს კი, ჩემს ჩეზობელს, ჩემ დამქცევს და დამწლებელს მაღალადეს თავზე ხელი ვუსვავო, ეკითხება და იქვიებადება „ივერიის“ ნაქადაგების სიმართლეში. მაშ რაშია საქმე? სანამ ამ კითხვაზე მიუვებდეთ, საქიროთ მიმაჩნია გამოირკვეს შემდეგი: მართლა მთელი სომეხობა წარმოადგენს გაბატონებულ და ეკონომიურათ გაძლიერებულ კლასს, თუ რომელიმე მისი ნაწილი.

ჩვენ არა ერთი და ორი სოფელი ვიცი ქართლში, საცა სომეხი გლეხი რიცხვით ქართველ გლეხებს თუ არ აღემატება, ბევრით არც ჩამორჩება, ჩვენ ვიცი, რომ იქაური სომეხები სრულიად გაერთიანებული არიან ქართველ გლეხებთან, ორივენი ერთ ტაფაში იწვიან, ერთი კირი აქვთ და ერთი ლხინი. ჩვენ არა ერთი, ასი და ორასი მშრომელი ვიცი, ქალაქის. მშრომელი ხალხი, რომლის ბედი ქართველ მშრომელ ხალხზე უმძიმესია, რადგან ისინი სრულ ბოგანოს წარმოადგენენ, და ჩვენებს კი კიდევ შერჩენიათ რაღაც თავის მოსატყუებელი, ხელ-წასატანი. ჩვენ არა ერთი და ორი ინტელიგენტი ვიცი, სომეხის ნამდვილი ინტელიგენტი მაღალი და წმინდა გრძნობით გატაცებულები, რომელთა გულ-წრფელ სიყვარულში იმ ქართველ ელემენტთა მიმართ, ვისაც მერმისი ეკუთვნის, იქვის შეტანა ყოვლათ შეუძლებელია. დიხ, ვიცი, ჩვენ ეს, და იციან ეს ყველა მათ, ვისთვისაც ფანატისკოსობას და ეროვნულ მიუკარებლობას თვალნი არ დაუხმავს ხილვით და ყურნი სმენათ.

ამნაირათ ჩვენებურ სომეხთა დიდი უმრავლესობა იმავე ტაფაში იწვის და იხრაკება, რომელშიაც ქართველთა დიდი უმრავლესობაა. ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე მტერი ყავს, ერთი მიზანი აქვთ, ერთი გზით მსვლელობენ, მათი ინტერესები ერთდებიან და აი ამ ინტერესთა ერთ-გვარობა აერთებთ მათ და ვერავითარი მოჩამხული ეროვნული ტენდენციები შურსა და მტრობას ვერ ჩამოაგდებს მათ შორის.

ახლა, როგორც მკითხველი ხედავს, სურათი შეიცვალა. ერთ მხარეს დგანან: მრეწველნი, ვაჭრები, ჩარჩები და სხვ. და სხვ. სხვა-და-სხვა ერთა ელემენტებისაგან შემდგარი — აქ არის სომეხიც, ქართველიც და უცხოელიც; მეორე მხრით-მშრომელი ხალხი. ესენიც იმ ერთა ელემენტებისაგან შემდგარი, როგორც პირველი ჯგუფი. ამ ორ ჯგუფთა ინტერესები რადიკალურათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მათ შორის არის ატეხილი ბრძოლა, ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე. მაშ რაშია საქმე? იმაში რომ „ივერიამ“ კლასთა შორის ბრძოლა ეროვნულ ბრძოლათ გამოიტანა და იმის მაგიერ, რომ საზოგადოთ მხაგრელთა წინააღმდეგ მიემართა ჩაგრულთა ძალა, მთელი სომეხთა ერი დამნაშავის სკამზე დასვა და ქართველები კი სასტიკ მსაჯულებათ განაწესა. აქედან მკითხველი ადვილათ დაინახავს, რომ „ივერიას“ როგორც ძველათ, ისე ახლა სურს არ არსებული რამ არსებულათ დასახოს, საღი და უზიანო მხარე დასწეულებულ და დაავადებულ მხარეთ აღიაროს, თვისი უქმი ფანტაზიის ნაყოფი ეროვნული ბრძოლა ქართველებს მოასვიოს და ამ ნაირათ ახალი საკითხი შექნას, ერი ახალ გზაზე შეაყენოს.

ახლა ადვილი ხეება პასუხი მიცევთ წერილის თავშივე დაყენებულ კითხვაზე, თუ რა როლის კისრება შეუძლია ვაზნეთს, ანუ საზოგადოთ პრესას ერის ცხოვრებაში.

ვაზნეთი უნდა ფეხ-და-ფეხ მისდევდეს ცხოვრებას, უკვირდებოდეს და იკვლევდეს მის ნამდვილ მოთხოვნილებას, გამოთქვამდეს ერის გულის ნადებს, უადვილებდეს და ეხმარე-

*) რასაკვირველია იქ, როგორც აქ, უცხოელებსაც უქვე წილი ექსპლუატაციისა, მაგრამ იმერლობა არა ნაკლებ როლს თამაშობს, განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობაში.

ბოდეს მშობიარობის მწვავე ტკივილების ატანას. ვისურვებთ განახლებულ „ივერიას“ შეეგნოს ეს ქეშმარიტება, მაგრამ შესძლებს კი?..

მანუხარ.

სამშობლოს ცხსე.

„ივერიკა!“ „ივერიისა“. დატუნეთ თოფები!—პატარა „ბზიკი“ დიდის რიხით. — უკვდავთა ქალაქი ქუთაისი, — ნიჭის ატესტატი. — ერთი ძელი ორ თვალში.

წარსული წლის ოცდაშვიდს გათენდა შესანიშნავი დღე ქართველი ერისათვის. განთიადი გადმოდგა „ივერიის“ ქელიდან. მან და მხოლოდ მან 134 №-ში, რომელიც ამიერიდან დარჩება საისტორიო ციფირათ, ამცნო ქართველებს სასიხარულო ამბავი. სომხები დავილაღე საქართველოდან და არა-რატამდე ჩაგრევე უსუნთქებლივო! იხარე გულთა ქართლოსიანთაო! ვაშა და დიდება! დიდება და ვაშა! და ეს ორივეერთათ გაზეთ „ივერიას“. ვის შეეძლო ვადახტომოდა თავზე საკუთარ ჩრდილს თუ არ „ივერიას“? ვის შეეძლო ოც და ხუთი წლის განმავლობაში მჯდარიყო ცივ აუზში და ბოლოს მაინც დაეძახა: „ივერიკა!“

„ივერიკა!“ დიხ, „ივერიკა!“

ეს სიტყვა ბერძნულია და ქართულათ ნიშნავს: „აღმოვაჩინე!“ ეს დაიძახა არხიმედმა, როდესაც შემთხვევით აბანოში აღმოაჩინა წყლისა და სხეულის ურთიერთ შორის უცვლელი დამოუკიდებლობის კანონი.

მაგრამ, „ივერიამ“, შუბლზე ნაოჭ აკრეფილმა „ივერიამ“ გადააჭარბა ბერძენ მეცნიერს, (ქართველია და!) და აი, სწორეთ შემოხსენებულ შესანიშნავ დღეს მანაც დაიძახა „ივერიკა!“ აღმოაჩინა დიდი ჭირისათვის სულ უბრალო რამ წამალი. მან დაწერა და გამოაქვეყნა კიდევ ეს აღმოჩენა. იგი, როგორც მოგახსენეთ, შეეხება სომხების ექსორიას საქართველოდან, ამისთვის საჭირო ყოფილა მხოლოდ მცირე რამ. საკმარისია მხოლოდ გავუგონოთ „ივერიას“ და შევკრათ ქართველებმა პირი, რომ ამიერიდან უკუნისამდე აღარა ვიყიდოთ რა სომხიდან და აღარც მივყიდოთ რამე სომხებს. რასაკვირველია, ისინი ან გაკოტრდებიან და მაშინ ყოველი ღატაკი ქართველი გამდიდრდება, ან არა და წამოიკიდებენ გულანაბადს. მხოლოდ აქ ერთი რამ დავიწყებია პატივცემულ მეცნიერს და ამის კი მე „აღმოვაჩინე“. მოდი, ქართველებო, და ბარგის წასადებათ ნუ ვაჭირავებთ სომხებს ურმებსაც. ხელით მაგდენს რას ზიდავენ და დაგვრჩება მათი ავლა-დიდება. მაშინ მოვიწვიოთ მედოტორეთ „ივერია“, რათა გაგვიანწილოს სომხების სიმდიდრე. ჰაი გიდი, რა კარგია და! მთელი საქართველო სულ „ორთაქალას მივალ მიმიხარიათ-ოს“ შემოძახებს! ამიერიდან აღარა გვმართებს საყვედური, რომ „ივერიამ“ არა გვარგორა 25 წლის განმავლობაში. რა ქნას, თუ კი თავისი არა ებადარა, სომხებს ხომ გამდიდრებინა ჩვენი თავი?

მაშ ვისაც გინდათ ნამდვილათ დაიმსახუროთ მამულიშვილის სახელი, მიიღეთ შემდეგი მცნებანი ახალ სინაის მთაზე ძველი წინასწარმეტყველის მიერ დაწერილი:

- 1) მე ქართველი ვარ. ვიჯმნი ეშმაკისაგან! აღარას ვიყიდი სომხიდან, ვიყიდი ქართველიდან. თუნდა მან ორკეცი ტყავი ამაძროს.
- 2) მე ქართველი ვარ, იმიტომ რომ ქართველ ბატონს გავებტყვევინებთ.
- 3) ვიჯმნი სამეზის ეშმაკისაგან! მე ქართველი ვარ და მწამს, რომ „ივერიას“ ერთი დამთქნარებით საქართველოსაშენება შეუძლია და სხვა-და-სხვა ამისთანა ამბები, რომლებსაც გაუწიოთლელათ ეზიდება „ივერია“ თვის სალაროდან.

* * *

მაგრამ ამ ბედნიერების შემდეგაც არა გვტოვებს გაზეთი უნუგეშოთ. ის ჩაუფიქრებია როგორ მოეუწოდო და ვაჭარრონოთ ღია პირში ჩავარდნილ ვაშლს. „დატუნეთ თოფები!“ გვიბრძანებს ის. ერთი ვნახოთ, დაგვეცნო თათარი ყაჩაღები და გაგვეცარცონ, აი, როგორც გაუცარცვნიათ ივრის ხეობაზე სამ ყაჩაღს 15 გლეხი მთიბავი ქართველიო. სწორეთ ამ გარემოებას მიუქცევია გაზეთის ყურადღება და შემდეგისათვის ამისთანა ხიფათის თავიდან ასაცილებლათ თხოვს ჩვენ თავდაზნაურობას, რომ საიდანაც ჯერ-არს გამოითხოვონ ბერდანის თოფები და თვითეულ სოფელში არსენალები დაგვიარსონ. ამნაირათ ქართველი გლეხი, რომელიც თურმე ეხლა უთოფოთ გალაჩრებულია, შეიძენს სიმამაცეს და დაიცავს ქონებასაცო. რატომ გავიწყდება „ივერიაჯან“ რომ „ყაჩაღი იარაღს არ დაგიდევს!“ კითხე ამის შესახებ არსენასაგან გაცარცულისომხის ქართველ ბიჭს, და ის გეტყვის ვინ არის და რა არის ყაჩაღი. მეორეც ესა, განა ისე კი ცოტასა ზრუნავენ ჩვენი თავადები ხალხისთვის, რომ თოფების გატენაც მათთვის არ მიგენდო?! მახლას „ივერია“, არს სახელი შენი და კიდევ ბევრი მოგეტყვება!

* * *

როგორც მაგალითათ მოგეტყვება პატარა „ბზიკის“ დიდი რიხიანობა. მისი უწმაწური ლანძღვა-გინება (იხ. „ივერია“ № 137) და ფრთა შეხეული „ბზიკის“ წრუწუნნი, რომელიც მორთო მან წარსულ კვირას. საწყალი მოსაუბრე! რომელიც ერთი მოიგეროს? „ბზიკი“ ყარამანის ლახტის ზურგზე წამოკიდებული, თუ თვით ყარამანი—ნინია გარეჯელი, „ბზიკის“ ფარხმალით ამხედრებული? ან რა საჭირო იყო დესპანი და ისიც „ბზიკის“ ბავით, ომის გამოსაცხადებლათ? იქნება თვით „ბზიკივე“ აპირებს წრუწუნს და ნინია გარეჯელი კი ჯერჯერობით მის ზურგს უკან დავით გარეჯში ლოცულობს?!

* * *

ქუთაისი ხომ შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ იმდენათ კი შესანიშნავი არ გვეგონა, როგორც ეს „ივერიამვე“ (სულ „ივერიაში“) აღმოაჩინა „მაგმაძის“ ბავით. ეს ყოფილა ქალაქი უკვდავთა გვამებისა. დაწყებული მათი ადვოკატებიდან მათი კლიენტებიტურთ, რომელთა რიცხვს პირველთა რიცხვი ქარბობს, უკანასკნელ ბულვარისტამდე ქუთაისში ყველა შესანიშნავი სული ყოფილა. ამას მოგვითხრობს მოცლილი სტვირი „მაგმაძისა“ „ივერიის“ გულთ. მან ყოველი ქუთათურის ბიოგრაფია დაგვიწერა („ახალნი წევრ. ქუთ. სათ.-აზნ. ბანკის კომიტეტისა. იხ. „ივერია“ №№ 118, 119) და გამოვიდა, რომ თვითეული მათგანი ადამის სქესისა ყოფილა, თვითეულ მათგანს მამაცა ყოლია, დედაც, ქამაცა, ცოდნია, სმაც, ქეიფიცა და ძილიც. ერთი სიტყვით ყოველივე, რაც კი შეიძლება, რომ ქუთაისში ქუთაისელებმა და თფილისში „ივერიამ“ და მისმა „მაგმაძემ“ შესანიშნავ და გამოსაქვეყნებელ ნიშნებათ ჩაუთვალოს აღამიანს.

„ივერიკა!“ ბ-ნო „ივერიაჯ“, კიდევ „ივერიკა“, უკვდავთა ქალაქისა!

* * *

და კიდევ „ივერიკა“ ერთი ნიჭისა, რომელიც შენ აღმოაჩინე კახეთში, ალაზნის პირას, „ალაზნის პირელში!“ „ნიჭი გაქვთ, ქართული კარგათ გცოდნით, აღნუსხეთ ყოველივე უოცნებოთა და გამოგვიგზავნეთო“, სწერს ატესტატს „ივერია“ თვის 134 №-ს „ფოსტაში“ შემოხსენებულ „ალაზნის პირელს“. ნიჭი გაქვთ იმისთვის, რომ ქართული ქართველს გცოდნია („ივერიკა!“) ნიჭი გაქვს, მხოლოდ ოცნება კი მოაშორეთ თქვენს ნიჭსო! უოცნებო ნიჭი სდომებია „ივერიას!“ მაშ ოცნების ბურუსში რაღათ დასეირნობს ზამთარ-ზაფხულ? მაინცა და მაინცკარგს იზამს გაზეთი, რომ ამისთანა ნიჭის ატესტატი ყოველ ქართუ

ლის მკოდნე ქართველს გაუგზავნოს. „ევრიკა“, „ივერიაც“ „ევრიკა!“

* * *

ახირებული ხალხი, მხოლოდ „ივერიას“ არა ყოლია. ესენი ყოფილან თელავშიაც. აქ ერთი ძელი ორ თვალში გადებულა, ხოლო ერთი მეორეს ეუბნება: არა, ძელი ჩემ თვალში არაა, არამედ შენშიო. ერთი თვალი ეკუთვნის თელავის ბიბლიოთეკის გამგებას, მეორე კი აქაურ ბიბლიოთეკის მზრუნველ საზოგადოებას. თვალები, როგორც ჩანს, ძლიერლ მაცერათ უყურებენ ერთმანეთს და შედეგი კი მათის კინკლაობისა ბიბლიოთეკის დღევანდელი უბადრუკი მდგომარეობაა. დიან, კოზაკი მუდამ შუაში იქყლიტება. და ძელი კი ჩვენის აზრით ორივე თვალში ძევს. პირველში მიტომ, რომ მას ვერ გაურჩევია ვის აბარებდა საქმეს, მეორეს კი მიტომ, რომ ვერ მიმხვდარა საქმე რაა და უსაქმოზა რომელია.

ასე და ამგვარათ ამ ერთი ძელის ორ თვალში გაწოლის მიზეზით მალე თელავის სახალხო ბიბლიოთეკა მოკურცხლავს იქით, სადაც არ არს არცა ურვა, არცა ზრუნვა, არამედ მიქელ-ვაბრიელის სამფლობელო: სამშვიდობო, სულის საოხი და საცხონებელი!

ძელი კი მაინც დაგრჩებათ, თელაველებო, ორ თვალში ვაჩხირული! და კარგს იზამს თქვენი ინტელიგენცია, თუ გძელ ენებს მოსაქნელათ დაბახანაში გაგზავნის; ვინაიდან უფრო მეტ რჩებებს წარმოთქვამენ განსვენებულ ბიბლიოთეკის ქელეხში.

რიგოლეშო.

ადამიანის უჩინარი მტრები.

VI.

ადამიანის ტანში ორგვარი მიღებია: ერთი სისხლის მიღები, მეორეც ლიმფის მიღები; პირველგვარ მიღებში მიმოდის სისხლი, მეორეში კი მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც ლიმფა ქვია, რომელიც გულში ჩადის და ამგვარათ სისხლს უერთდება. ბაქტერიებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ადგილობრივი ან საზოგადო სნეულების გაჩენა ადამიანის ტანში, თუ ისინი, ან მათი ტოქსინები შეერევენ ან სისხლს, ან ლიმფას, ან ტანის სხვა-და-სხვა უჯრედებსა და ქსოვილებში ვაატანეს როგორმე. როგორც დავინახეთ, ბაქტერიები ბუნებაში ძალიან არიან გავრცელებული, მაგრამ ყოველი ადამიანი კი არ ხდება მათის წყალობით ავათ... ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ გარშემო ტანზედა და პირში უჯრედების სქელი წყობა გვაკრავს და ეს გვიფარავს ბაქტერიებისაგან; თუ რომელიმე ალაგას ეს უჯრედების წყობა რაიმე მიზეზისა გამო მოგვეცილდა, მაშინ ასეთი საფარს მოკლებული ალაგი კარებს წარმოადგენს, საიდანაც სხვა-და-სხვა ბაქტერიებს შეუძლიათ ჩვენს ტანში შემოვიდნენ, და ხშირათ ასეც ირჯებიან. აქედან ცხადია, რომ ბაქტერიებს შეუძლიათ ჩვენს ტანში შემოსვლა კანიდან, პირის, სასუნთქი მიღების და წელეების ლორწოიანი კანიდან. ხოლო აუცილებელ პირობას კანის სითრთელის დარღვევა შეადგენს. რადგანაც საქმელი და წყალი, რომელიც ჩვენს კუჭში ჩადის, ყოველთვის შეიცავს სხვა-და-სხვა სნეულების ბაქტერიებს, ამიტომ გადამდები სნეულებაც უფრო ხშირი იქნებოდა, რომ არსებობისათვის ბრძოლას ადამიანის კუჭი არ დაეჯილდოებია ისეთის საშუალებით, რომელიც ბაქტერიებს სიცოცხლეს ასალმებს. ბევრს ეცოდინება, რომ კუჭში არის ერთგვარი უჯრედები; ისინი ამზადებენ და ინახვენ კუჭის წვენს, რომლის უმთავრესი დანიშნულება საქალის მოხარშვა და გათქვეფა არის. კუჭის წვენს ურევია მარლის სიმჟავე, რომელიც შესდგება ქლორისა და წყალბადისაგან, და რძის სიმჟავე (კუჭის ნორმალურ წვენში ბევრი უარყოფს რძის სიმჟავის არსებობას). ამ სიმჟავეთა წყალობით კუ-

ჭის წვენი მჟავა; მჟავე სითხეში კი ბაქტერიების უმეტესი წილი ვერ ცოცხლობს და მალე იხოცება. ესეც რომ არ იყოს, კუჭის წვენი ბაქტერიებსაც ინელებს, ისე რაღაცეა შეატყნოსაც, ამ გარემოების წყალობით, ბევრი ბაქტერია ვერაფერს ბიცი ჩვენს კუჭში ჩადიან, აქავე ესალმებიან სიცოცხლეს და ამიტომ ზარალიც ვეღარ მოაქვთ, მხოლოდ ზოგიერთი ბაქტერიის სპორებს კუჭის წვენი ვერას აკლებს, ისინი კუჭიდან უვნებელი გადადიან ნაწლავებში, აქ ბაქტერიებათ იქცევიან ხოლმე და სნეულებასაც აჩენენ. რა გზითაც უნდა შევიდეს ბაქტერია ჩვენს ტანში, ის სხვა-და-სხვა მისთვის მანეე პირობებისა გამო ან კვდება,—რის გამო მის სტუმრობას ან სრულებით ვერ გავიგებთ ხოლმე, ან ერთი-ორი დღის ან რამოდენიმე საათის უქეიფობით გადგურჩებით ხოლმე,—ან ჩვენ ტანში შემოსული ბაქტერია იწყებს საზღოობას ქსოვილების სითხეში და მრავლდება, რასაც შედეგათ მოყვება ხოლმე სხვა-და-სხვა სნეულება. იმის და მიხედვით თუ საიდან შემოვიდა ტანში ბაქტერია, ან როგორი ბაქტერია შემოვიდა, სნეულებაც სხვა-და-სხვა გვარია. ყველასათვის ცხადია, რომ ქლექის ბაქტერია სხვანაირ სურათს გამოიწვევს, ვიდრე ხოლერის და სხვ. ხშირათ ბაქტერიის შემოსვლა ჩვენს ტანში მხოლოდ ადგილობრივ სნეულებას იწვევს; მაგალითათ ქლექის ბაცილამ თუ კანის უჯრედებში დაიბუდა, გააჩენს მხოლოდ ადგილობრივ კანის სნეულებას, მთელი ორგანიზმი კი სრულებით საღი რჩება; უმეტეს შემთხვევაში ტანში შესული ბაქტერია მთელ აგებულებას წამლავს, განსაკუთრებით ნერვების სისტემას, და იწვევს საზოგადო სნეულების სურათს. ხშირათ ერთი და იგივე სნეულება სხვა-და-სხვა გვარათ მიმდინარეობს სხვა-და-სხვა აგებულებაში; ათასში ორს ვერ ნახავთ ერთი და იმავე სნეულებით ავთამყოფს, რომ მათი სნეულების სურათი ერთი და იგივე იყოს; მიუხედავათ ერთი და იმავე სნეულებისა განსხვავება მათ შორის ყოველთვის იქნება. ამ განსხვავების მიზეზია: მოდგმა, წლოვანება, სქესი და ყოველი ადამიანის ინდივიდუალური თვისებანი. მაგალითათ, ქლექიანი ევროპიელი ხშირათ ღრმა სიბერემდის ცოცხლობს; შავკანიანს კი ქლექი მალე ასალმებს წუთისოფელს. თუ ადამიანი ქაბუკობის ხანაში დაქლექდა, მალე კვდება; შუაწლოვანებაში დაქლექებული კი უფრო დიდხანს ცოცხლობს და სხვ. ერთი და იგივე ბაცილა ერთსა და იმავე ადამიანში სხვა-და-სხვა გვარათ მოქმედობს იმის და მიხედვით, თუ რომელი ალაგიდან და როგორის რაოდენობით შევიდა ტანში. თუ საღმა ადამიანმა ბლომათ ჩაისუნთქა ქლექის ბაცილები, აუცილებლათ დაქლექდება; თითო ოროლა ქლექის ბაცილას კი თითქმის ყოველი ჩვენგანი ყლაპავს, მაგრამ ყოველი ჩვენგანი კი არ სნეულდება. თუ ქლექის ბაცილამ ფილტვებში დაიბუდა, ადამიანს, რაც უნდა იყოს, ნელა-ნელა ესპობა სიცოცხლე, ის სანთელივითა დნება. თუ ქლექის ბაცილებმა თავის ტვინზე დაიბუდეს, სნეულების სურათი სრულებით სხვა არის, ვიდრე ქლექის. თუ იმავე ბაცილებმა სისხლში დაიბუდეს, საშინელს სიცხესა და ბოდვაში ადამიანი რამოდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში ესალმება სიცოცხლეს. თუ იმავე ბაცილებმა უბას ქვეშ ჯირყვლებაში დაიბინავეს; გააჩენენ ეგრეთ წოდებულ დურბელს; თუ ძვალში,—მქამელს და სხვ. ამ ერთი ბაქტერიის მოღვაწეობის ჩამოთვლითაც დარწმუნდებოდა მკითხველი, თუ რა სხვა-და-სხვა სურათს იწვევს სნეულებისას ერთი და იგივე ბაქტერია სხვა-და-სხვა გარემოებაში. ყოველივე ნათქვამის გარდა თვით ბაქტერიის მდგომარეობასაც დიდი გავლენა აქვს სნეულების მიმდინარეობაზე. თუ ბაქტერია ცხოვრების ცუდი პირობებისა გამო დასუსტებულია, მაშინ ის სნეულებას ან სულ ვეღარ აჩენს, ან მხოლოდ მსუბუქათ ასნეულებს ადამიანს. ადამიანის ინდივიდუალურ თვისებათა გარდა ამ გარემოების ბრალიც

არის, რომ ერთი და იგივე გადამდები სნეულება ზოგს მაგრათ კიდებს ხელს, ზოგს კი ადვილათ. ზოგიერთი ბაქტერია მხოლოდ ადვილობრივ სნეულებას იწვევს, საზოგადო სნეულების აღძვრა მას არ შეუძლია. ამიტომ აშკარაა, თუ ასეთმა ბაქტერიამ შესაფერ ალაგზე არ მოიკიდა ფეხი, სნეულებასაც ვერ გააჩენს. არის ერთგვარი ბაქტერია, რომელსაც ნებისგან გონოკოკს ეძახიან. ეს გონოკოკი საშინელი მტერია საშარდე მისა და თვალის ლორწოიანი კანისა. საშარდე მიღში ის იწვევს მძიმე გადამდებ სნეულებას; თვალში კი ანთებას, რომელსაც შედეგათ დაბრმავებაც მოყვება ხოლმე. სხვა ალაგას კი ეს საძაგელი გონოკოკი, რომელიც გამოჩენილი მეცნიერის სახელს ატარებს, თითქმის სრულებით უვნებელია. ამგვარათ სნეულების მხრივაც კი ერთმანეთში დაუნაწილებიათ ჩვენი სხეული ბაქტერიებს: ეს უჩინარი მტრები სხვა-და-სხვა მხრიდან ესევიან მათთან შედარებით უზარმაზარ ადამიანს, უსნეულებენ მას სხვა-და-სხვა ნაწილს და ხშირათ სიცოცხლესაც ასაღებენ. გადამდებ სენტა ბაქტერიები რომ არ იყონ, ჩვენი სიცოცხლე გაცილებით უფრო ხანგრძლივი იქნებოდა და კაცობრიობაც უფრო ბედნიერი, ვიდრე დღეს არის. მართო ის რომ ჩამოთვალოთ, რამდენი შესანიშნავი ადამიანი წაურთმევიათ კაცობრიობისათვის ბაქტერიებს, წარმოუდგენელ ზარალს მიიღებთ. ყველა საშინელი ომები, ყველა ზარბაზნები, ყუმბარები, დინამიტები და სხვა, რაც გონიერ ადამიანს ადამიანისავე დაჟლეტათ გამოუგონია, ბაქტერიებთან შედარებით მოსახსენებელიც არ არიან: მათ მიერ მომხდარი და მომავალში მოსახდენი ზარალი მხოლოდ წვეთია იმ ცოდვისა და ქლევტა-მუსერის ზღვაში, რომელსაც ბაქტერიები ავსებენ უძველესი დროიდან მოკიდებული.

VII.

ჩვენ გავაცანით მკითხველებს ბაქტერიის ბუნება, ცხოვრება, თვისება და მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, რამდენათაც ცოდნა და მოხერხება შეგვწვედა. ახლა ვეცდებით მოკლეთ დავახსიანოთ ზოგიერთი ბაქტერიები და მათ მიერ გამოწვეული სნეულებანი, რომლებსაც მკითხველი ცოტათ თუ ბევრათ უეჭველია იცნობს. ყველა იმ სნეულებას, რომლების მიზეზიც ბაქტერიები არიან, ჩვენ ვუწოდებთ გადამდები სნეულებანი, უცხოელები კი უწოდებენ ინფიციურს (სიტყვისაგან — inficio — ვაჭრობ, ვარედან შემომაქვს). თუმცა ამ სიტყვას უფრო ვრცელ მნიშვნელობას ვაძლევთ, ვიდრე ხალხი, რომელიც გადამდებ სნეულებას მხოლოდ ისეთს უწოდებს, რომელიც ერთი ადამიანისაგან, ან სხვა ცხოველისაგან მეორეს გადაეცემა: მაგრამ მგონი, საბუთს ვაქვს. თუ სნეულს შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში საღს შეყაროს სნეულება, აგრეთვე ყველა დანარჩენ შემთხვევაში ადამიანს სნეულებას ყრის ჰაერი, წყალი, ნიადაგი, საქმელი, და სხვა-და-სხვა ნივთები. თუ პირველ შემთხვევაში ვუწოდებთ გადამდებ სნეულებას. იგივე სახელი უნდა ვიხმაროთ ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც; ამის გამო ახალი ტერმინის სესხება უცხოელებისაგან საქიროთ არ მიგვაჩნია, თუმცა ჩვენს მწერლობაში ამ უცხო ტერმინს აქა-იქ უკვე ხმარობენ...

გადამდებ სნეულებათა უკეთ შესასწავლათ და დასანაწილებლათ სხვა-და-სხვა კლასიფიკაციები არის შემოღებული. ყველა ამ კლასიფიკაციების ჩამოთვლას ჩვენ არ შევუდგებით: ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს, რომელიც საპატიო მეცნიერთაგან დღეს დღეობით საუკეთესოთ არის აღიარებული. გადამდებ სნეულებათ ყოფენ სამ ჯგუფათ: 1-ლ ჯგუფს ეკუთვნის ენდოგენური სნეულებანი; ამ სნეულებათ იწვევენ ის მიკრობები, რომლებიც ცხოვრობენ და მრავლდებიან მხოლოდ ცოცხალი არსების ტანში; გარეშე ცოცხალი არსებისა მათი სიცოცხლე შეუძლებელია. მაგ. — სიფილისი, კეთროვნება და

სხვ. 2 — ე ჯგუფს უწოდებენ ეგზოგენურ სნეულებათ; ამათ იწვევენ ისეთი ბაქტერიები, რომლებიც ცხოვრობენ უძთაერესათ ჰაერში, მიწაში, წყალში და სხვ. მაგ. — სახადი, ხოლერა, ხუზარა და სხვ. 3 — ე ჯგუფს შეადგენენ ამფიგენური სნეულებანი. რომლების გამომწვევი ბაქტერიები თუ იმსუფთავათ ცხოვრობენ როგორც ცოცხალ არსებაში, ისე მის გარეშეც; მაგ. — ყელქირვება, ინფლუენცია, ქლექი და სხვ. რაც დრო გადის, თანდათან მტკიცდება, რომ თითქმის ყველა ბაქტერიები ამფიგენური უნდა იყონ ე. ი. ყველას შეუძლია როგორც ცოცხალ არსებაში ცხოვრება. ისე მის გარეშეც. თუ ზოგიერთი ბაქტერიები ცხოველი არსების გარეშე ვერ უზოვნიათ, ამის მიზეზია მიკროსკოპიული ტენიკის ნაკლულევენებანი: იმის მიხედვით, რომ ყვავილისა და სიფილისის მიკრობები დღემდის ვერ აღმოუჩენიათ, ვერაინ ვერ უარყოფს დღეს, რომ ეს სნეულებანი გადამდები არიან და მათ თავისი საკუთარი სპეციფიკური მიკრობები ყავთ. ამიტომ, როდესაც ბაქტერიოლოგია უფრო განვითარდება, ასეთ კლასიფიკაციის ბოლო მოვლება და დარჩება საერთო სახელი ყველასათვის: ამფიგენური სნეულებანი. ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით ზოგიერთ უფრო ცნობილ გადამდებ სნეულებებს, რომლებიც ადამიანის აგებულებას ჩვევია.

(შემდეგი - იქნება)

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

თფილისის კერძო სამკურნალო
გადამდები სნეულებისა

(კუთა, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).
ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:
დ ი ღ ი თ :

- გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- ბ. გ. შადალაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
- ი. ზ. ხადაშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- ბ. მ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- გ. მ. მანსუეტაფი — შინაგანი და ნერვების, და ბავშვების სამშაბ. და პარასკ. — 1—2.
- ა. გ. ბარსუკაფი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- გ. გრ. საბაღაშვილი — ქირურგ. და ორტოპედიული, ორშოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.
- ბ. მ. აბაშაძე — სიფილისისა, კანისა და საშარდესი. 1—2.

ს ა დ ა მ ი თ ი :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
 - მ. გ. იანსუეტაფი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.
 - ა. გ. შადალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოველენანი 5—6.
- გ კ ი რ ა ბ ი თ :
- გ. მ. მანსუეტაფი — შინ., ნერვ. და ბავშვ. 9—10.
 - ბ. გ. შადალაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. მისეილ გელეკანიშვილი ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათისა.

სასწავლებელი და პანსიონი.

ა. მამულაიშვილისა.

ვერა, სლევკოვის ქუჩა, № 13. ზემელის აფთექის მახლობლათ.